



gamomcemeli: Sps 'biznes intel eqti -
Publisher: **Business Intellect Ltd.**

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikul i Jurnal i
`gadasaxadebi -

registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical magazine `Gadasakhadebi -

mTavari redaqtori:
daviT jal aRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalagonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocierebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gel aSvili
asocierebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqniki redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri

koreqtori: rusiko papaskiri
asocierebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocierebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor

iurist-konsultanti:
el guja qavTaraZe, asocierebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

Jurnal i „gadasaxadebi -
registrirebulia
s.k. 404941300
Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmj domare: profesori daviT jal aRonia
Chairman: professor David Jalagonia
ekonomikur mecnierebaTa doqtorebi,
profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amil axvari	Zaur Amilakhvari
rezo gvel esiani	Rezo Gvelesiani
simon gel aSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
L arisa Takal anZe	Larisa Takalandze
zurab l i partia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vl adimer RI onti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengel ia	Temur Shengelia
mi xeil Ciivil aZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
el ene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nino xarebava	Nino Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJel ika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi el sever nariman oRli -
baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Oglu - Baku, Azerbaijan

mimRebi: Sps 'biznes intel eqti -
mimRebis IBAN angariSis # GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika-
bankis BIC kodi: REPLGE22
Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Correspondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri Sesazl oar emTxveodes avtorisas. statias moyvani l faqtetisa da monacemebis sizusteze pasuxismgebel ia avtoril.
Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author
gamodis TveSi erTxel , fasi 12 l ari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 12 **ISSN 1987-9156**



sarCevi / **Table of contents**

ekonomi kuri qronika / **Economic chronicles**5-7

mecniereba: Teoria, metodologia, metodika, praktika
Science: theory, methodology, techniques, practice

ekaterine SainiZe,
 baTumis SoTarusTavel is saxel mwifo universitetis doqtoranti
qonebis gadasaxadis administrirebis gaumj obesebi saTvis ---
 ----- 8-19

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi 20-65

instruqcia / **Instructions** 66-80

Semosavl ebis samsaxuris ganmarteba / **Revenue service definition** --81-83

es sainteresoa / **Interesting facts**84-85

valutis kursi / **Exchange rate** 86

gadasaxadebi #6-7, 2015

GADASAKHADEBI #6-7, 2015



ECONOMIC NEWS

*ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ფინანსთა სამინისტროს
სამი წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა*

19 ოქტომბერი 2015



მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ პროექტის ფარგლებში, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ საზოგადოებას სამინისტროს სამი წლის მუშაობის შედეგები გააცნო.



ფინანსთა მინისტრმა დეტალურად ისაუბრა 2013-2015 წლებში ბიუჯეტის ეფექტიანობის ზრდის, მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო ფინანსების მართვის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებზე და აღნიშნა, რომ გატარებული რეფორმების შედეგად, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ შედეგებით, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიჭირა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები 2012 წლის ანალოგიურ კვლევასთან შედარებით (2012 წლის ინდექსის თანახმად, 33-ე ადგილს ვიკავებდით) და საქართველო მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში.

ასევე, ხაზი გაესვა ლიბერალიზაციის მიმართულებით განხორციელებულ საკანონმდებლო ინიციატივებს, სახელმწიფო ვალის მართვასა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, საგადასახადო და საბაჟო მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს, საჯარო ფინანსების ინტეგრირებული სისტემის მართვასა და ახალ ელექტრონულ სერვისებს, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კუთხით განხორციელებულ რეფორმებს, საგამომიებო სამსახურის მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევის ფაქტებს, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ სამი წლის განმავლობაში დანერგილ სერვისებსა და სასწავლო პროგრამებს, ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

„მიმაჩნია, რომ მიუხედავად სირთულეებისა, გასული სამი წელი ფინანსთა სამინისტროსთვის იყო წარმატებული. განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები საჯარო ფინანსების მართვის თვალსაზრისით, მისი გამჭვირვალობის მიმართულებით, ასევე, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო ლიბერალიზაციის კუთხით, რაც მთავარია, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი ორგანიზაციაა, რომელიც პირუთვნელად იცავს საკუთრების უფლებას და ჩვენი ინიციატივით, არ მივმართავთ აღსრულების ღონისძიებებს, ვიდრე არ დასრულდება საგადასახადო დავა,“ - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

პრეზენტაციას დაესწრნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგენკო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ეროვნული ბანკის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ქვეყანაში აკრედიტებული საელჩოების, არასამთავრობო და სამეცნიერო წრეების, ბიზნესისა და საბანკო სფეროს, მედიის წარმომადგენლები.



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საზოგადოებას 3 წლის საქმიანობის შედეგები გააცნო



21.10.2015

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ საზოგადოებას 3 წლის საქმიანობის შედეგები გააცნო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დღეს, ისტორიულ მუზეუმ „ქარვასლაში“, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 3 წლიანი საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, დონორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები და სხვა მოწვეული სტუმრები. ღონისძიება ნოდარ ჯავახიშვილმა გახსნა. მინისტრმა დამსწრე საზოგადოებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2013 წლიდან დღემდე განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო. ასევე, ისაუბრა მიმდინარე და დაგეგმილ მსხვილ პროექტებზე და რეგიონული განვითარების თვალსაზრისით განხორციელებულ ინსტიტუციონალურ ღონისძიებებზე. პრეზენტაციაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ისეთ მასშტაბურ პროექტებზე, როგორცაა: ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები; მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა; სოფელ დართლოს რეაბილიტაცია; ხევსურეთში რომკა- არხოტის გზის მშენებლობა; კურორტ წყალტუბოს რეაბილიტაცია, ღია მმართველობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები და ა.შ.



ქონების გადასახადის ადმინისტრირების გაუმჯობესებისათვის

ეკატერინე შაინიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებულია მხოლოდ ერთი ადგილობრივი გადასახადი - ქონების გადასახადი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში.

ქონების გადასახადს აქვს ე.წ. „სანიტარული“ ფუნქცია - გაათავისუფლოს წარმოება უსარგებლო ქონებისაგან, ხოლო მიწის მესაკუთრენი - უსარგებლო მიწისაგან. მას სახელმწიფოს მიერ ამ ქონების დაცვისთვის დაწესებულ საფასურსაც უწოდებენ. იგი მიეკუთვნება პირდაპირ რეალურ გადასახადს, რომელიც ამოიღება ქონების ცალკეული სახეობიდან. აქედან გამომდინარეობს მისი დასახელებაც (**real** ინგლისურად ქონებას ნიშნავს).

საქართველოში ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი არის დასაბეგრი ქონება და მიწა. საგადასახადო კოდექსი ცალ-ცალკე განსაზღვრავს დაბეგვრის ამ ორი ობიექტის დაბეგვრის წესს და საბაზისო განაკვეთებს.



რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადის გადამხდელია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე, მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საგადასახადო კოდექსში 2012 წლის 29 მაისს შესული ცვლილებით, დაბეგვრის ობიექტს აღარ განეკუთვნება არამატერიალური აქტივები, თუმცა, ამ მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ გადამხდელთა უმეტესობამ დღემდე არ იცის, რაც საგადასახადო კანონმდებლობისადმი არაკომპეტენტურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის გადამხდელია საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, შენობა-ნაგებობაზე ან მათ ნაწილზე), იახტებზე (კატარღებზე), შვეულმფრენებზე, თვითმფრინავებზე, არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, აგრეთვე, მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

როგორც ვხედავთ, საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლი ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად განიხილავს იახტებს, 206-ე მუხლის პირველი ნაწილის 3³ ქვეპუნქტი კი მას ათავისუფლებს ამავე გადასახადისაგან (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8903 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ საქონელს წარმოადგენს იახტები). ამ შემთხვევაში ეს ორი მუხლი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ერთმანეთს - თუ აქტივი ცალსახად არის განთავისუფლებული დაბეგვრისას, რა საჭიროა მისი განხილვა დაბეგვრის ობიექტად. ამ კაზუსის მარტივად მოგვარება შეიძლება იახტების ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად არგანხილვით.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არაუმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. დასაბეგრი ქონების ღირებულება კი არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელშიც 2004 წლის ჩათვლით მიღებული ძირითადი საშუალებების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის ვრცელდება აფასება შემდეგნაირად: ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ; ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2-ჯერ; გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1.5-ჯერ; დ) აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს -3-ჯერ.



გარდა აღნიშნულისა, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია ზემოთაღნიშნული გზით დასაბეგრი ღირებულების გაზრდის მიუხედავად, საგადასახადო შემოწმებისას იგი განუსაზღვროს საბაზრო ფასით, თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას. ამასთან, აღნიშნული საბაზრო ფასი ექვემდებარება 3 წლის განმავლობაში ქონების გადასახადით დასაბეგრი ღირებულებად გამოყენებას, რითაც ირღვევა ამ გადასახადით დაბეგვრის ძირითადი პრინციპი - საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების დაბეგვრა.

ამ ორივე ნორმის ერთდროულად გამოყენების შემთხვევაში, გადამხდელი საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება ერთი და იგივე დაბეგვრის ობიექტის რამდენჯერმე დაბეგვრის გამო, რაც ეფექტიანობის თვალსაზრისით ზრდის ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალს, მაგრამ არღვევს სამართლიანობის პრინციპს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილია დაბეგვრის ობიექტების მიხედვით ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები - საწარმოთა ქონების დასაბეგრი ღირებულებაზე არაუმეტეს 1%-სა, ფიზიკურ პირთა ქონებაზე 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არაუმეტეს 0.2 პროცენტისა, 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არაუმეტეს 1 პროცენტისა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 1 კვ.მ.-ზე 0,24 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და მისი სახეობის მიხედვით (სახნავი, საკარმიდამო, სათიბი, სამოვარი) 13ა-ზე 5 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით. ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები კი ვალდებული არიან ქონების გადასახადის განაკვეთები დასაბეგრი ქონებასთან მიმართებაში განსაზღვრონ დადგენილ ფარგლებში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან მიმართებაში კი დაადგინონ ტერიტორიული კოეფიციენტი (რათა საბაზისო განაკვეთის 0,24 ლარის მასზე გამრავლებით მიღებული იქნას შესაბამისი განაკვეთი) არაუმეტეს 1,5-სა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე დაწესებული საბაზისო განაკვეთები არ გაზარდონ 150%-ზე მეტად. საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე



ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში.

აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან განაკვეთების დადგენის საკითხს და მასზე ნაკლებად აკეთებენ ეკონომიკურ გათვლებს. აღნიშნულს მოწმობს ის ფაქტიც, რომ **2005** წლიდან დღემდე დადგენილ განაკვეთებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე კი განაკვეთების ცვლილებები განაპირობა საგადასახადო კოდექსში საბაზისო განაკვეთების მხოლოდ გაორმაგებამ. გარდა ამისა, ისინი ნაკლებად იყენებენ საგადასახადო კოდექსით მინიჭებულ უფლებამოსილებას, განაკვეთების დიფერენცირებით მოახდინონ დარგის წახალისება.

საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ქონების გადასახადის დეკლარაციაში დასაბეგრი ქონებისა და მიწის ასახვის არსებული წესები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის **205**-ე მუხლის მიხედვით, დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის **1** აპრილის მდგომარეობით. იურიდიული პირის შემთხვევაში **1** აპრილის ჩათვლით წარსადგენი დეკლარაცია გასული წლისაა (ანუ იმ წლის, რომლის ქონებაც იბეგრება), მაგრამ მის საფუძველზე დარიცხული მიწის გადასახადი მიმდინარე წელს ეკუთვნის (შესაბამისად ქონებაზე გადასახადი **1** აპრილამდე უნდა იქნას გადახდილი, ხოლო მიწაზე კი - **15** ნოემბრამდე). ფიზიკურ პირთან მიმართებაში კი პირიქით - **1** ნოემბრამდე წარდგენილი დეკლარაცია მიმდინარე წლისაა, მასში მიწა მიმდინარე წლის **1** აპრილის მდგომარეობით აისახება, ქონება კი - გასული წლის მიხედვით. ამ შემთხვევაში ხშირად გადამხდელებს უჭირთ იმის გაგება, ვთქვათ, **2013** წლის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციაში ასახული მიწის გადასახადი რომელი წლის გამოსაქვით ხარჯს უნდა მიაკუთვნონ. არსებული კანონმდებლობით ასეთი ხარჯი **2014** წლის გამოსაქვით ხარჯს მიეკუთვნება, თუმცა, ამის შესახებ ცალსახად არსად არ არის მითითებული. აღნიშნულ პრობლემას ართულებს ამ გადასახადში სათანადო ინსტრუქციის არარსებობაც. **2005** წლიდან მოქმედ კოდექსთან მიმართებაში ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებული ინსტრუქცია დაახლოებით **35-40** გვერდს მოიცავდა და მასში საკმაოდ დეტალურად იყო გაწერილი დაბეგვრის წესები, **2011** წლიდან შემოღებული კოდექსით და სათანადო ბრძანებით გაუქმებული იქნა აღნიშნული ინსტრუქცია და საქართველოს ფინანსთა მინისტრის **2010** წლის №**996**-ე ბრძანებაში „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ კი ამ



გადასახადზე არაფერი არ არის ნათქვამი, გარდა დეკლარაციის შესაბამისი გრაფების განმარტებისა.

საგადასახადო კოდექსის 205-ე მუხლის მიხედვით საწარმო/ორგანიზაცია ქონებაზე გადასახადს იხდის მიმდინარე გადასახდელის სახით, გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, არაუგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა. თუ გადასახადის გადამხდელი საწარმო/ორგანიზაცია მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში არსებობს, იგი ქონებაზე გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად. თუ იურიდიული პირი კალენდარული წლის დაწყების შემდეგ დაფუძნდა, მას შესაბამისი საგადასახადო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ ეკისრება. ამასთანავე, მომდევნო საგადასახადო პერიოდის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის ოდენობა განისაზღვრება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის სრული ოდენობით.

აღნიშნული ნორმა ფაქტიურად ვერ სრულდება შემდეგ გარემოებათა გამო -ქონების გადასახადის დეკლარაციაში არ არსებობს შესაბამისი გრაფა, რომელშიც მიეთითება კალენდარული წლის რამდენი თვის განმავლობაში არსებობდა საწარმო, შესაბამისად, პროპორციულად გამოანგარიშებული გადასახადი პირდაპირ იწერება გადასახადის შესაბამის გრაფაში, მომდევნო წელს კი მიმდინარე გადასახდელი ერიცხება წინა წლის ქონების გადასახადის ოდენობით (ანუ თვეების მიხედვით გადაანგარიშებული) და არა სრული ოდენობით. აღნიშნული პროგრამული და დეკლარაციის ფორმის ხარვეზის გამო ადგილობრივი ბიუჯეტები კარგავენ მათი კუთვნილი შემოსავლების გარკვეულ ნაწილს.

როგორც საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლიდან ჩანს, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებულია ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს. ხოლო მიწაზე ქონების გადასახადის შეღავათების დადგენის უფლება ადგილობრივ თვითმმართველობებს მიენიჭა. საქართველოში ყველა მუნიციპალიტეტმა გაათავისუფლა დაბეგვრისაგან საცხოვრებელ სახლებზე და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე კი ძირითად შეღავათს წარმოადგენს 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის ნაკვეთების განთავისუფლება დაბეგვრისაგან.



ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის დეკლარაციაში (თუ იგი ივსება **40 000** ლარზე მეტი შემოსავლის მიღების მიზეზით) გადამხდელი ვალდებულია დასაბეგრი ქონება ასახოს საბაზრო ღირებულებით, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ისინი რეალური ღირებულების დაფიქსირებისაგან თავს იკავებენ და არც საგადასახადო ორგანოები ინტერესდებიან ამ მონაცემების სიზუსტის დადგენით, რაც ასევე მნიშვნელოვანი საგადასახადო შემოსავლების დანაკლისთან ასოცირდება. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის დეკლარირებას, მოსახლეობის დაახლოებით **10** პროცენტი ასრულებს ამ ვალდებულებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში **2012** წლის მაისში შესულ ცვლილებებამდე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურები ყოველი თვის **10** რიცხვამდე ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებს აწვდიდნენ ინფორმაციას თვის განმავლობაში დარეგისტრირებული ქონების შესახებ. ასევე, **1** აპრილისთვის ასეთი ინფორმაცია მიეწოდებოდა წლიური მონაცემების მიხედვით, რაც წლის განმავლობაში მიწოდებული თვის ინფორმაციების ნაკრებს წარმოადგენდა და იგი არანაირი ანალიზის გაკეთების საშუალებას არ იძლეოდა. საგადასახადო კოდექსი კი ავალდებულებდა მარეგისტრირებელ ორგანოებს თვის განმავლობაში გასხვისებული ქონების, ხოლო წლიურად **1** აპრილის მდგომარეობით მიწის (ქონების) მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, რისთვისაც დადგენილი იყო შესაბამისი ფორმა. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით კი მიწის გადასახადის გადამხდელთა იდენტიფიცირება რთული და უმეტეს შემთხვევაში არაზუსტი იყო, რადგან, როგორც ცნობილია, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია საგადასახადო წლის **1** აპრილის მდგომარეობით მესაკუთრენი, წარმოდგენილი ინფორმაციები (როგორც ყოველთვიური, ისე წლიური) შეიცავდა მხოლოდ დარეგისტრირებულ ქონების მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციას, ხოლო ამ ქონებაზე **1** აპრილის მდგომარეობით კვლავ იყვნენ თუ არა მესაკუთრენი აღნიშნული პირები, არ ჩანდა. ამასთან, ინფორმაციის მოწოდება ხდებოდა წერილობითი ფორმით და არა ელექტრონულად, რაც მისი ანალიზისას **1** აპრილის მდგომარეობით მიწის მესაკუთრეთა გამოვლენის მიზნით დიდ სირთულეებს ქმნიდა. სწორედ ამიტომ ხშირი იყო შემთხვევები, როცა საგადასახადო ორგანო (იშვიათ შემთხვევაში და თან მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში) ახდენდა მარეგისტრირებელი ორგანოების მიერ წარმოდგენილი არასრულყოფილი ინფორმაციის საფუძველზე მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვას და გადამხდელთათვის საგადასახადო მოთხოვნების გაგზავნას. საკმაოდ ხშირად კი აღმოჩნდებოდა, რომ ეს გადამხდელები **1** აპრილის მდგომარეობით აღარ იყვნენ მესაკუთრენი (გასხვისებული ჰქონდათ აღნიშნული ქონება)



და მათი პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული გადასახადი მცირდებოდა შესაბამისი დოკუმენტებისა და ახსნა-განმარტებების წარმოდგენის შემდეგ. თუ გადამხდელს ერიცხებოდა იმაზე ნაკლები ფართობის მიწა, ვიდრე დარიცხული იყო გადასახადი, მისი კორექტირება უნდა მომხდარიყო წარმოდგენილი დეკლარაციის საფუძველზე, რაც იწვევდა მის დაჯარიმებას დეკლარაციის დაგვიანებით წარმოდგენის გამო (2013 წლამდე 200 ლარით და 2010 წლამდე ყოველ დაგვიანებულ თვეზე 200-200 ლარით) და ამ დროს მიწის გადასახადი შეადგენდა გაცილებით ნაკლებ თანხას.

აღნიშნული პრობლემა გარკვეულწილად ფორმალურად მოგვარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2012 წლის მაისში შესული ცვლილებებით, რომლის თანახმადც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ მიწაზე ქონების გადასახადის დარიცხვისას პირი თავისუფლდება მიწაზე ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების საფუძველზე პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №406 დადგენილებამ დაავალდებულა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურები ყოველი წლის 10 აპრილამდე შესაბამისი საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მიმდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მიწის მესაკუთრე ფიზიკურ პირთა სიები, რომელიც სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: ა) სახელი, გვარი და პირადი ნომერი; ბ) მიწის ფართობი და მისამართი; გ) მიწის დანიშნულება (სასოფლო-სამეურნეო, არასასოფლო-სამეურნეო). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი სამსახური, ასევე, ვალდებულია ამავე ვადაში წარუდგინოს: ა) ინფორმაცია მიმდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით სახელმწიფო მიწის მოსარგებლეებისა და მფლობელების შესახებ; ბ) ინფორმაცია გასული საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ იახტებზე (კატარღებზე), შვეულმფრენებსა და თვითმფრინავებზე მისი მესაკუთრის სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით. სახელმწიფო მიწის მოსარგებლეებისა და მფლობელების შესახებ ასეთივე ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც.



საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2012 წლის მაისში შესული ცვლილებით 309-ე მუხლის 1 ნაწილის 51-ე პუნქტით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაწილში ქონების გადასახადის დეკლარირების ვალდებულების 2014 წლის 1 იანვრამდე შესრულების შემთხვევაში ფიზიკური პირი თავისუფლდებოდა ამ კოდექსით დადგენილი შესაბამისი ჯარიმისაგან. თუმცა, არაფერია ნათქვამი ამ ნორმის ამოქმედებამდე წარმოდგენილი დაგვიანებული დეკლარაციების მიხედვით დაჯარიმებული პირებისთვის რაიმე სახის შეღავათის გაწევაზე. მაშასადამე, კეთილსინდისიერი გადამხდელები აღნიშნული ნორმის ამოქმედებამდე დაჯარიმდნენ (უმეტესწილად არაინფორმირებულობის გამო), ხოლო ურჩ გადამხდელებს კი გაეწიათ შეღავათი, რაც სამართლიანობის პრინციპს უხეშად არღვევს.

რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენმა გადამხდელმა ისარგებლა ზემოთაღნიშნული შეღავათით და რა თანხა შეადგინა დეკლარირებული გადასახადების თანხამ, შესაბამისი უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შემდეგნაირია: 2012 წლის 15 მაისიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ქონების გადასახადის დეკლარაცია (ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის დეკლარაციები) წარმოადგინა სულ 7 374-მა გადამხდელმა, დეკლარირებულმა თანხამ კი შეადგინა 1 058 479,8 ლარი. მაშასადამე, დეკლარაციის დაგვიანებით წარმოდგენის გამო საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სანქციისაგან დროებით განთავისუფლებამ უზრუნველყო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 1,5%-ით გაზრდა, თუმცა, ჩვენი აზრით, ქონების გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა საქართველოში გაცილებით მეტია და მსგავსი ბერკეტების გამოყენებასთან ერთად საჭიროა კონტროლის ღონისძიებების გაძლიერებაც, მით უმეტეს, შემოსავლების სამსახური შესაბამისი საინფორმაციო ბაზით უზრუნველყოფილია.

ქონების გადასახადის ადმინისტრირების გაუმჯობესება საკმაოდ რთული პროცესია. იგი გამოწვეულია მრავალი მიზეზით. მათ შორის: არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის და შესაბამისი განმარტებების არარსებობით, გადამხდელთა სათანადო არაინფორმირებულობით და არაკომპეტენტურობით, კანონმდებლობაში მკაფიოდ გაწერილი საინფორმაციო ბაზის მოწოდებაზე კონტროლის არარსებობით და არსებულის სათანადოდ გამოუყენებლობით.



საქართველოში ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებში ქონების გადასახადს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიხედვით უჭირავს საშუალოდ 6-დან 15%-მდე. თუმცა, არსებული საგადასახადო ბაზა ამ წილის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალებას იძლევა, რისთვისაც საჭიროა გარკვეული ღონისძიებების გატარება.

ამ ეტაპზე ასეთ ღონისძიებათაგან შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი:

- საგადასახადო კოდექსში მკაფიოდ უნდა გაიწეროს ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტები წინააღმდეგობრივი მუხლების არსებობის გამორიცხვით. სათანადო კანონიერი პრაქტიკის დანერგვის მიზნით შემუშავდეს ინსტრუქციები და განმარტებები აღნიშნულ გადასახადთან მიმართებაში, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება კოდექსში გაწერილ მუხლებთან და ექნება სავალდებულო იურიდიული ძალა. ამასთან, საჭიროა აღნიშნული აქტები იყოს გაჯერებული პრაქტიკული მაგალითებით და სიტუაციური სახელმძღვანელოებით, რომელიც ქონების გადასახადის გამონაგარიშების და გადახდის წესთან მიმართებაში ამომწურავ პასუხს გასცემს გადასახადის გადამხდელების შეკითხვებს;

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სათანადო პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ქონების გადასახადის განაკვეთების დადგენის საკითხს და გამოიყენონ ეკონომიკური გათვლები ამ პროცესში. ამასთან, სათანადოდ შეასრულონ საგადასახადო ორგანოებისთვის სახელმწიფო მიწის მფლობელთა შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია;

- ქონების გადასახადის დეკლარაციაში არსებული გრაფები სრულ შესაბამისობაში იყოს გადასახადის გამონაგარიშების, გადახდის და მიმდინარე გადასახდელების დარიცხვის კოდექსით დადგენილ ნორმებთან;

- დაწესდეს კონტროლი ფიზიკურ პირთა მიერ დეკლარაციაში ასახული ქონების საბაზრო ღირებულებასთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ამ გადასახადით დაბეგვრის ბაზას;

- სარეგისტრაციო სამსახურებმა დადგენილი წესით მოახდინონ მათ მფლობელობაში არსებული ინფორმაციის მიწოდება საგადასახადო ორგანოებისთვის, ხოლო ამ უკანასკნელების მიერ კი მოხდეს კოდექსით დადგენილი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება მიწაზე ქონების გადასახადის გამოთვლისა და დარიცხვის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ქონების გადასახადი (განსაკუთრებით მიწის ნაწილში) საკმაოდ რთულად ადმინისტრირებადია, ვფიქრობთ, აღნიშნული ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად გაზრდის მის ფისკალურ ფუნქციას ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010 წ;
2. „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სხვა მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №406, 28.12.2010 წ.;
3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“. 3 იანვარი, 2011. კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;
4. შემოსავლების სამსახურის წერილი №21-11/62364, 17.06.2015.





რეზიუმე

ქონების გადასახადის ადმინისტრირების გაუმჯობესებისათვის

ეკატერინე შაინიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის დოქტორანტი

სამეცნიერო სტატიაში განხილულია საქართველოში ქონების გადასახადის ფუნქციონირების მექანიზმი და პრობლემები, რომლებიც გვხვდება მისი ადმინისტრირების პროცესში. დეტალურადაა აღწერილი ის ხარვეზები, რომლებიც გამოწვეულია როგორც არასრულყოფილი და ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათის საკანონმდებლო ნორმების არსებობით, ისე ადმინისტრირების განმახორციელებელ ორგანოთა არაკოორდინირებული საქმიანობით.

კვლევის შედეგად შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოში ქონების გადასახადის ადმინისტრირების ხარისხს და შესაბამისად ფისკალურ ეფექტს, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისათვის.

Resume

The ways to improve property tax administration

Ekaterine Shainidze

A doctoral student of Batumi Shota Rustaveli State University

This scientific works deals with the mechanism and functioning problems of property tax system in Georgia. These problems are met in the process of administration. The work describes all the drawbacks of this system in detail. These drawbacks are caused by the existence of imperfect and repugnant legislative regulations and also by the non-coordinated work of administrative organs.

The result of the work is the recommendations, which we think, will importantly increase the administrative quality of property tax system in Georgia. Accordingly, it will increase fiscal effect, that is essential for formation of local budget revenue parts.





საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ)საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენს/საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის მოადგილეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას.“.

2. 42-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

28 მაისი 2015 წ.

N3613-IIIს

საქართველოს კანონი

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის (შემდგომ – ბიზნესომბუდსმენი) უფლებამოსილებას, საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და ფორმებს.

2. ამ კანონის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობა.

**მუხლი 2. ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები**

ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები და კანონქვემდებარე აქტები.

მუხლი 3. ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

1. ბიზნესომბუდსმენი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია. ბიზნესომბუდსმენზე რაიმე ზემოქმედება და მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

2. ბიზნესომბუდსმენი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერ-ძობლობისა და კანონიერების პრინციპებით.

3. ბიზნესომბუდსმენი განცხადების განხილვისას ნეიტრალურია და არ წარმოადგენს განმცხადებელს ან იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის გადაწყვეტილების/ქმედების მართლობიერებასაც საეჭვოდ ხდის განმცხადებელი.

4. ბიზნესომბუდსმენი მხარეთა ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაცვით ცდილობს კონსენსუსის მიღწევას.

5. ბიზნესომბუდსმენს უფლება აქვს, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც მას, როგორც ბიზნესომბუდსმენს, გაანდეს. ეს უფლება ბიზნესომბუდსმენს უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც უნარჩუნდება.

მუხლი 4. ბიზნესომბუდსმენის თანამდებობაზე დანიშვნა და მისი უფლებამოსილების შეწყვეტა

1. ბიზნესომბუდსმენის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული ან ეკონომიკური განათლება.

2. ბიზნესომბუდსმენს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით.

3. ბიზნესომბუდსმენის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ოდენობა დგინდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტით.

4. ბიზნესომბუდსმენს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში;

ბ) საკუთარი უფლებამოსილების ზედიზედ 4 თვის განმავლობაში განუხორციელებლობის შემთხვევაში;

გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში;



დ) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობის, უზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაც-ვლილად გამოცხადების შემთხვევაში;

ე) ბიზნესომბუდსმენის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის დაწყების ან თანამდებობაზე დანიშნიდან 10 დღის შემდეგ ბიზნესომბუდსმენის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით;

ზ) პირადი განცხადების საფუძველზე;

თ) გარდაცვალების შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილება შეწყვეტილად ჩაითვლება. საქართველოს პრემიერ-მინისტრი გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტს ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

6. ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ბიზნესომბუდსმენის ერთ-ერთი მოადგილე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით. ბიზნესომბუდსმენის მოადგილე ბიზნესომბუდსმენის მოვალეობის შესრულების პერიოდში სარგებლობს ბიზნესომბუდსმენისთვის მინიჭებული უფლებებითა და სამართლებრივი გარანტიებით.

მუხლი 5. ბიზნესომბუდსმენის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა

1. ბიზნესომბუდსმენს უფლება არ აქვს, ახორციელებდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობებისა.

2. ბიზნესომბუდსმენს უფლება არ აქვს, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

3. ბიზნესომბუდსმენი ვალდებულია თანამდებობაზე დანიშნიდან 10 დღის ვადაში შეწყვიტოს ბიზნესომბუდსმენის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა.

მუხლი 6. ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილება

1. ბიზნესომბუდსმენი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ავლენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტს და ამ კანონით დადგენილი წესით ხელს უწყობს პირის დარღვეული უფლებების აღდგენას.

2. პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ბიზნესომბუდსმენი ახორციელებს:



- ა) ინდივიდუალურ და ერთობლივ განცხადებებზე რეაგირებით;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში ხარვეზების გამოვლენით;
- გ) საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებით.

3. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია/დოკუმენტი;
- ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან გააფორმოს შეთანხმება ინფორმაციის/დოკუმენტის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ;
- გ) სამსახურებრივი საჭიროებისათვის განმარტების/დასკვნის მისაღებად მიმართოს სპეციალისტს, სამეცნიერო ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებას;
- დ) შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ ადმინისტრაციული ორგანოს და კერძო სექტორის წარმომადგენლები;
- ე) ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია.

4. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს ბიზნესომბუდსმენს საქმიანობის განხორციელებაში და წარუდგინოს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი.

5. ბიზნესომბუდსმენი ვალდებულია დაიცვას უფლებამოსილების განხორციელების დროს მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება.

6. ბიზნესომბუდსმენისთვის ინფორმაციის/დოკუმენტის გადაცემისათვის მომსახურების საფასური არ გადაიხდევინება.

7. ბიზნესომბუდსმენი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ა) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;
- ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან აფორმებს ხელშეკრულებებს;
- გ) ხელშეკრულების საფუძველზე, გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით იწვევს სპეციალისტს;
- დ) ახორციელებს ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებითა და კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.



8. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართოს შუამდგომლობით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიება, თუ ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

მუხლი 7. ბიზნესომბუდსმენის აპარატი და მოადგილე

1. ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად იქმნება ბიზნესომბუდსმენის აპარატი (შემდგომ – აპარატი). აპარატის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება აპარატის დებულებით.

2. ბიზნესომბუდსმენს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/მოადგილეები. ბიზნესომბუდსმენის მოადგილეს/მოადგილეებს თანამდებობაზე/ თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობიდან/თანამდებობებიდან ათავისუფლებს ბიზნესომბუდსმენი. ბიზნესომბუდსმენის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილებას განსაზღვრავს ბიზნესომბუდსმენი.

3. ბიზნესომბუდსმენის მოადგილეზე/მოადგილეებზე ვრცელდება ამ კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედება, აგრეთვე ბიზნესომბუდსმენისთვის ამ კანონით დადგენილი თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

4. ბიზნესომბუდსმენის მოადგილე/მოადგილეები და აპარატი მოქმედებენ ბიზნესომბუდსმენის სახელით და მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილებით.

5. ბიზნესომბუდსმენი:

ა) ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს აპარატის საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს აპარატის სამტატო ნუსხას და აპარატის თანამშრომელთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ოდენობებს;

გ) ამტკიცებს აპარატის დებულებას და აპარატის შინაგანაწესს;

დ) თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს აპარატის თანამშრომლებს, აპარატის თანამშრომლებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს;

ე) განსაზღვრავს აპარატის თანამშრომელთა ფუნქციებს;

ვ) აპარატის თანამშრომლების მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს;

ზ) ამტკიცებს აპარატში სტაჟირების გავლის წესს.



6. აპარატი:

ა) ხელს უწყობს ბიზნესომბუდსმენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებაში;

ბ) ასრულებს ბიზნესომბუდსმენის და მისი მოადგილის/მოადგილეების მითითებებსა და დავალებებს.

7. აპარატის თანამშრომლებზე ვრცელდება ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მოქმედება.

მუხლი 8. განცხადების განხილვა

1. ბიზნესომბუდსმენი განიხილავს განცხადებას, რომელიც შეეხება პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვევას.

2. პირი უფლებამოსილია მატერიალური ან ელექტრონული ფორმით წარუდგინოს განცხადება ბიზნესომბუდსმენს, თუ განცხადებაში მითითებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება/ქმედება უშუალოდ ახდენს გავლენას მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე.

3. პირს უფლება აქვს, ბიზნესომბუდსმენს უფლებამოსილი ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს. პირის წარმომადგენელი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით წარმომადგენლისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

4. ბიზნესომბუდსმენს უფლება აქვს, არსებითად არ განიხილოს განცხადება, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია განცხადებაში მითითებული დარღვევის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოსწორების საშუალება, რომელიც გამოყენებული არ ყოფილა.

5. ბიზნესომბუდსმენი განცხადებას არ განიხილავს, თუ:

ა) განმცხადებელმა უარი თქვა განცხადების განხილვაზე;

ბ) განცხადება განმეორებით არის წარდგენილი, მის თაობაზე მიღებულია გადაწყვეტილება და არ არსებობს ახალი გარემოება/მტკიცებულება;

გ) განცხადება არაუფლებამოსილი პირის მიერ არის წარდგენილი;

დ) განცხადება ანონიმურია ან განმცხადებელთან დაკავშირება შეუძლებელია;

ე) განმცხადებელმა ხარვეზი ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილ ვადაში არ გამოსასწორა.

6. განმცხადებელს მიეთითება ხარვეზის გამოსწორების თაობაზე და მის გამოსასწორებლად მიეცემა გონივრული ვადა, თუ:



ა) განცხადება (გარდა ელექტრონული ფორმით წარდგენილისა) ხელმოუწერელია;

ბ) განცხადება წარმომადგენლის მიერ არის წარდგენილი და მას არ ეროვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) განცხადებიდან ვერ ირკვევა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტი ან/და მოთხოვნის არსი.

7. ბიზნესომბუდსმენი განცხადებას განიხილავს მისი რეგისტრაციიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. განცხადების განხილვა ჩერდება მასში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის/დოკუმენტის გამოთხოვის შემთხვევაში. განცხადების განხილვის შეჩერება იწვევს მისი განხილვის ვადის დინების შეჩერებას.

8. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია განცხადებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტი გამოითხოვოს იმ ადმინისტრაციული ორგანოდან, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება/განხორციელებული ქმედება შესაძლოა არღვევდეს განმცხადებლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამ შემთხვევაში ბიზნესომბუდსმენს ინფორმაცია/დოკუმენტი უნდა წარედგინოს მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

9. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს განცხადებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტის წარდგენა. ამ შემთხვევაში ბიზნესომბუდსმენს ინფორმაცია/დოკუმენტი უნდა წარედგინოს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნის მიღებიდან 30 კალენდარული დღისა.

10. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია ზეპირი განმარტების მისაღებად შეხვდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის ხელმძღვანელს/წარმომადგენელს, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება/განხორციელებული ქმედება შესაძლოა არღვევდეს განმცხადებლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

11. პირის უფლების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ბიზნესომბუდსმენი შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართავს პირის დარღვეული უფლების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ რეკომენდაციით.

12. ბიზნესომბუდსმენის რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის დასახელებასა და საიდენტიფიკაციო ნომერს;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოს სადავო გადაწყვეტი ლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკვიზიტებს;

გ) დარღვეული უფლების აღწერას;

დ) ფაქტების აღწერას;

ე) განმცხადებლის არგუმენტაციას;



ვ) ადმინისტრაციული ორგანოდან მიღებულ ინფორმაციას/დოკუმენტს;

ზ) პირის დარღვეული უფლების აღდგენის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ რეკომენდაციას.

13. ბიზნესომბუდსმენის მიერ განცხადების განხილვის შედეგები ეცნობება განმცხადებელს.

14. ბიზნესომბუდსმენის რეკომენდაციის სრულად ან ნაწილობრივ გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო ამ რეკომენდაციის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს ბიზნესომბუდსმენს აღნიშნულის შესახებ და წარუდგენს სათანადო დასაბუთებას.

15. ბიზნესომბუდსმენი ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოსთვის გაგზავნილი რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგს, რისთვისაც იგი უფლებამოსილია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტი.

16. ბიზნესომბუდსმენის მიერ განცხადების განხილვა არ ზღუდავს პირის უფლებას, გამოიყენოს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვა საშუალებები, მათ შორის, მიმართოს სასამართლოს ან შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციას.

მუხლი 9. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი

1. ბიზნესომბუდსმენი საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის/პირების მიმართვის საფუძველზე აანალიზებს საქართველოს კანონმდებლობას და ნორმატიული აქტების პროექტებს.

2. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია მიიღოს ზეპირი და წერილობითი განმარტებები იმ ადმინისტრაციული ორგანოსგან, რომელიც ნორმატიული აქტის პროექტს ამზადებს.

3. ნორმატიულ აქტში ან ნორმატიული აქტის პროექტში ისეთი ნორმის არსებობისას, რომელმაც შესაძლოა დაარღვიოს პირის უფლება, ბიზნესომბუდსმენი შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს დასკვნას წარუდგენს.

4. ბიზნესომბუდსმენის დასკვნა უნდა შეიცავდეს ნორმატიული აქტის/ნორმატიული აქტის პროექტის დასახელებას და იმ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ბიზნესომბუდსმენს მიაჩნია, რომ ნორმატიული აქტის/ნორმატიული აქტის პროექტის არსებული რედაქცია პირის უფლებას არღვევს.

5. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით.

მუხლი 10. პრაქტიკის ანალიზი

1. ბიზნესომბუდსმენის მიერ პრაქტიკის ანალიზის დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს დაინტერესებული პირის/პირების მიმართვა ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია.



2. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია მიიღოს ზეპირი და წერილობითი განმარტებები იმ ადმინისტრაციული ორგანოსგან, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება/განხორციელებული ქმედება შესაძლოა არღვევდეს პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

3. პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად ბიზნესომბუდსმენი შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს რეკომენდაციით მიმართავს.

4. ბიზნესომბუდსმენის რეკომენდაცია უნდა შეიცავდეს პრაქტიკის ანალიზის დაწყების მიზეზს, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და იმ საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ბიზნესომბუდსმენს მიაჩნია, რომ არსებული პრაქტიკა პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს არღვევს.

5. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს წინადადებები პრაქტიკის სრულყოფის მიზნით.

მუხლი 11. საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობა

პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის თავიდან ასაცილებლად ბიზნესომბუდსმენი ახორციელებს საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობას, მათ შორის, საინფორმაციო ვიდეორგოლების გავრცელებით, სემინარებისა და შეხვედრების გამართვით, სასწავლო ვიზიტებით და სპეციალისტების მოწვევით.

მუხლი 12. ბიზნესომბუდსმენის წლიური ანგარიში

1. ბიზნესომბუდსმენი ამზადებს წლიურ ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ბიზნესომბუდსმენის წლიური ანგარიში საჯაროა და მის გამოქვეყნებას ბიზნესომბუდსმენი უზრუნველყოფს.

2. ბიზნესომბუდსმენის წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ბიზნესომბუდსმენის მიერ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით განხილული განცხადებების, საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების, მომზადებული რეკომენდაციებისა და დასკვნების, რეკომენდაციებსა და დასკვნებზე ადმინისტრაციული ორგანოების რეაგირების, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ზოგადი ტენდენციებისა და განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე.

3. ბიზნესომბუდსმენი წლიურ ანგარიშს კალენდარული წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში წარუდგენს საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს.

მუხლი 13. ბიზნესომბუდსმენის ქონება და დაფინანსება

1. ბიზნესომბუდსმენს საკუთარი უფლებამოსილების შეუფერხებლად განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი ქონება.



2. ბიზნესომბუდსმენის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. ბიზნესომბუდსმენი უფლებამოსილია, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გარდა, ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გრანტი.

4. ბიზნესომბუდსმენი განკარგავს მისთვის გამოყოფილ სახსრებს და უზრუნველყოფს გადაცემული ქონების შენახვასა და მიზნობრივ გამოყენებას.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე საგადასახადო ომბუდსმენი, საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილე და საგადასახადო ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლები ინიშნებიან ბიზნესომბუდსმენის, ბიზნესომბუდსმენის მოადგილის და აპარატის შესაბამის თანამდებობებზე.

2. საგადასახადო ომბუდსმენის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ბიზნესომბუდსმენის მიერ მათ შეცვლამდე ან გაუქმებამდე.

3. საგადასახადო ომბუდსმენის თანამდებობის დასახელების შეცვლა არ იწვევს საგადასახადო ომბუდსმენის/საგადასახადო ომბუდსმენის აპარატის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვის შეჩერებას ან შეწყვეტას.

4. აპარატის დამოუკიდებელ მხარჯავ დაწესებულებად განსაზღვრამდე ბიზნესომბუდსმენის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ბიზნესომბუდსმენის საქმიანობისათვის საჭირო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მოსამზადებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილ საბიუჯეტო განაცხადში გათვალისწინებას.

5. სახელმწიფოს მიერ ბიზნესომბუდსმენისთვის შესაბამისი ქონების გადაცემამდე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ბიზნესომბუდსმენს და აპარატს უზრუნველყოფს მათი უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო ფართობითა და ინვენტარით.

**მუხლი 15. დასკვნითი დებულებები**

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილების, საქმიანობის ძირითადი პრინციპებისა და ფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის №92 დადგენილება.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 28 მაისი 2015 წ.

N3612-III

საქართველოს კანონი**საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას – „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 29 მაისი 2015 წ.

N3673-III



საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურისათვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურისათვის ან სამხედრო მოსამსახურისათვის, აგრეთვე მისი დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახზე (მემკვიდრეზე) დამქირავებლის მიერ გაცემული დახმარება;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2015 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 8 ივლისი 2015 წ.

N3942-რს

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 269-ე მუხლის 6¹ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქონლის გაშვებამდე შემოწმებისას აღმოჩნდა არადეკლარირებული საქონელი (გარდა მალულად გადაადგილებული საქონლისა და ამ კოდექსის 289-ე მუხლის მე-12–13¹ ნაწილებით გათვალისწინებული ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა), რომლის საბაჟო ღირებულება არ აღემატება დეკლარირებული საბაჟო ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარისა;“.

2. 289-ე მუხლის:

ა) მე-12 და მე-13 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 30 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი, მაგრამ არაუმეტეს 50 000 ლარის ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით – იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით ან ამ საქონლის ჩამორთმევას.“



13. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 50 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი, მაგრამ არაუმეტეს 100 000 ლარის ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით – იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან ამ საქონლის ჩამორთმევას.“;

ბ) მე-13 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ ნაწილი:

„13¹. საქართველოს საბაჟო საზღვარზე 100 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტი ოდენობის ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით – იწვევს ვალდებული პირის დაჯარიმებას საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით გადატანილი ან გადმოტანილი ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით ან ამ საქონლის ჩამორთმევას.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-12-13¹ ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში არადეკლარირებული საქონლის არსებობისას არასწორ დეკლარირებად ითვლება, თუ დეკლარირებული საქონლისა და არადეკლარირებული საქონლის საერთო ოდენობა 30 000 ლარზე (ან სხვა ვალუტაში მის ეკვივალენტზე) მეტია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 17 ივლისი 2015 წ.

N4065-რს

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 309-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 86-ე-88-ე ნაწილები:

„86. ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობის განმახორციელებელი ელექტროენერჯეტიკის საწარმოს მიერ 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ელექტროენერჯის მიწოდებით წარმოშობილი ვალის მოვალისათვის პატიება არ ითვლება მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებად.

87. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:



ა) 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში ელექტროენერჯის მიწოდებით წარმოშობილი ვალის პატიების შედეგად ფიზიკური პირის მიერ მიღებული სარგებელი;

ბ) 2015 წლის 13-14 ივნისს ქალაქ თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ფიზიკური პირის მიერ:

ბ.ა) ფინანსური ინსტიტუტისგან სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად მიღებული სარგებელი;

ბ.ბ) 2015 წლის 14 ივნისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიღების შედეგად წარმოშობილი სარგებელი.

შენიშვნა: ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის 2015 წლის 13-14 ივნისს ქალაქ თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ ფიზიკურ პირთა სიას ადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

88. ფინანსური ინსტიტუტი უფლებამოსილია ამ მუხლის 87-ე ნაწილის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (ნაპატიები) სასესხო ვალდებულების ღირებულება გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან. ამასთანავე, ამ მუხლის 87-ე ნაწილის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (ნაპატიები) სასესხო ვალდებულების ღირებულება ფინანსური ინსტიტუტის მიერ ერთობლივ შემოსავალში ჩართვას არ ექვემდებარება.“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 87-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და 88-ე ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 14 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 22 ივლისი 2015 წ.

N4092-რს





საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005, მუხ. 151) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:

„ბ¹) სახელმწიფო შესყიდვის ამ კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის განხორციელებამდე, იმავე მუხლის 3³ პუნქტით დადგენილი წესით შეუთანხმოს სააგენტოს;“.

2. 10¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3³ პუნქტი:

„3³. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვის ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის განხორციელებამდე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით უნდა შეუთანხმოს სააგენტოს. სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება სააგენტოსთან სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით თანხმდება. ამ სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციის სააგენტოსადმი მიმართვა საჯაროა და უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების მიერ პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. სააგენტო გადაწყვეტილების მიღებისას შემსყიდველი

ორგანიზაციის მიმართვასთან ერთად განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ მასთან დაკავშირებით გამოხატულ მოსაზრებებს. სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების სააგენტოსთან შეთანხმების წესი და პირობები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

3. 24-ე მუხლის მე-10 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) 2015 წლის 1 ნოემბრამდე – ამ კანონის 10¹ მუხლის 3³ პუნქტით გათვალისწინებული წესისა და პირობების კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრა.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 24 ივლისი 2015 წ. N4104-რს



საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №№21–22, მუხ. 455) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ანგარიშვალდებულ საწარმოში, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ლიცენზირებულ საწარმოში, ან საწარმოში, რომლის პარტნიორთა რაოდენობა 100-ს აღემატება, აუდიტის ჩატარება სავალდებულოა. სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად იწვევს აუდიტორს, რომელიც საზოგადოებისაგან, მისი დირექტორებისა და პარტნიორებისაგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.“.

2. 51-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სააქციო საზოგადოების აქციონერთა რეესტრი იწარმოება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მიღებული შესაბამისი წესების მიხედვით.“.

3. 54-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც, კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება. საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით.“.

4. 55-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ სააქციო საზოგადოება არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა 100-ს აღემატება, სავალდებულოა სამეთვალყურეო



საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულო არ არის.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 3 სექტემბერი 2015 წ.

N4190-ის

საქართველოს კანონი

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13, 12.04.2005, მუხ. 84) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციას ახორციელებს სააგენტო, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 3 სექტემბერი 2015 წ.

N4193-ის



**საქართველოს კანონი**

**„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე**

მუხლი 1. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 16.08.2013, სარეგისტრაციო კოდი: 240080000.05.001.017035) 10¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10¹. საინვესტიციო ფონდების საზედამხედველო უფლებამოსილება საინვესტიციო ფონდების საზედამხედველო ორგანოა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 3 სექტემბერი 2015 წ.

N4194-ლს

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ღ) საქართველოს ეროვნული ბანკი/საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო – ყველა სარჩელზე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 3 სექტემბერი 2015 წ.

N4196-ლს



საქართველოს კანონი

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №17, 16.06.2003, მუხ. 113) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) საეჭვო ფინანსური ინსტიტუტი – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ვერ უპასუხებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის სტანდარტებს;“;

ბ) „ქ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ) პოლიტიკურად აქტიური პირი – უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით უკავია სახელმწიფო (საჯარო) პოლიტიკური თანამდებობა ან/და ეწევა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას. პოლიტიკურად აქტიური პირები არიან: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის ხელმძღვანელი და მთავრობის წევრი, აგრეთვე მათი მოადგილეები, სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი, პარლამენტის წევრი, უზენაესი სასამართლოს წევრი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სამხედრო ძალების ხელმძღვანელი პირი, ცენტრალური (ეროვნული) ბანკის/საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრი, ელჩი, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს ხელმძღვანელი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) ხელმძღვანელი, პოლიტიკური პარტიის (გაერთიანების) აღმასრულებელი ორგანოს წევრი, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე, ასევე მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე მასთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირი; პირი პოლიტიკურად აქტიურ პირად ითვლება ზემოაღნიშნული თანამდებობის დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში;“.

2. მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (მათ შორის, ელექტრონული ფულის პროვაიდერი), გარდა იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისა, რომელიც „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოსცემს მხოლოდ მცირემოცულობიან საგადახდო ინსტრუმენტს.“.

3. მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ა) საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო – კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის; ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისათვის; საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის; საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 3 სექტემბერი 2015 წ.

N4200-ლს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №154

2015 წლის 3 ივნისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელს, როგორც პირის წარმომადგენელს, უფლება აქვს შეავსოს სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია ამავე საბაჟო საწყობში განთავსებულ საქონელზე, თუ, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულთან ერთად, შესრულებულია შემდეგი პირობები:



ა) საქონელი დეკლარირდება საწყობის სასაქონლო ოპერაციაში, ან

ბ) წინმსწრები სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით საქონელი მოქცეულია საწყობის სასაქონლო ოპერაციაში, ან

გ) საქონელი საბაჟო საწყობში განთავსებულია დროებით შენახვის განაცხადით.“.

2. 51-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქონლის შემოტანამდე საბაჟო დეკლარაციით იმპორტში გაცხადებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას:

ა) საბაჟო გამშვებ პუნქტს ეცნობება გაფორმების საგადასახადო ორგანოს კოდი და სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერი;

ბ) საბაჟო გამშვებ პუნქტში ხორციელდება სატრანსპორტო საშუალების, საქონლის გამომგზავნისა და მიმღების იდენტიფიცირება, იდენტიფიკაციის საშუალებების შემოწმება;

გ) იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დარღვევის ან დაუღუპავი სატრანსპორტო საშუალების (გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეუძლებელია საქონლის გაბარიტული მოცულობის გამო სატრანსპორტო

საშუალების დაღუპვა) შემთხვევაში, აგრეთვე გარეგნული დათვალიერების შედეგად საქონლის გაფუჭების, დაზიანების აშკარა ნიშნების არსებობისას, ხორციელდება გაფორმების ადგილამდე საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილება;

დ) თუ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებების შედეგად ადგილი არა აქვს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას და თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არ გასულა 30 კალენდარული დღე, საბაჟო გამშვები პუნქტი ახორციელებს ASYCUDA-ს გამოყენებით დეკლარაციის დამუშავებას და საქონელი გაიშვება შესაბამისი დერეფნის გამოყენებით.“.

3. 94-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტში ხორციელდება სატრანსპორტო საშუალების, საქონლის გამომგზავნისა და მიმღების იდენტიფიცირება, იდენტიფიკაციის საშუალებების შემოწმება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №157**

2015 წლის 5 ივნისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, 230210000.22.003.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 33-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში საქონლის გაშვებისას.“;

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) თუ საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საქონლის გაშვებამდე სრულად გადახდილია იმპორტის გადასახდელი.“.

2. 34-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში საქონლის გაშვებისას – საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას. იმ შემთხვევაში, თუ იმპორტის გადასახდელის ნაწილი გადახდილია საქონლის გაშვებამდე – საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ იმპორტის გადასახდელსა და საქონლის გაშვებამდე გადახდილ გადასახდელს შორის სხვაობას.“;



ბ) მე-3 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არ უნდა იყოს გარანტიის წარდგენიდან 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები, გარდა ამ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;“;

ბ.ბ) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელებზე საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში საქონლის გაშვებისას – უნდა იყოს იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადაზე არანაკლებ 10 კალენდარული დღით მეტი.“.

3. 51-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელებზე საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საქონელი გაიშვება გარანტიის წარდგენით. საქონლის გაშვება აგრეთვე შესაძლებელია კუთვნილი იმპორტის გადასახდელების სრულად გადახდით ან იმპორტის გადასახდელების ნაწილზე გარანტიის წარდგენითა და დანარჩენ ნაწილზე თანხის გადახდით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №206

2015 წლის 7 ივლისი, ქ. თბილისი

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 23² მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სსა-ის/ტექნიკური საშუალების ფისკალურ ან სსა-თან/ტექნიკურ საშუალებასთან დაკავშირებულ მოწყობილობაში არსებულ მეხსიერებაზე (ამ თავის მიზნებისთვის შემდგომში–ფისკალური მეხსიერება), თითოეული ჩეკის შესახებ ინფორმაციის SAM მოდულის მეშვეობით დაშიფრულ/ელექტრონულ ხელმოწერასთან ერთად შენახვის შესაძლებლობა არანაკლებ 3 თვის ვადით, ხოლო „Z“ ანგარიშის შესახებ ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობა არანაკლებ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადით.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. „SAM მოდულის შესახებ“, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული პროტოკოლი, რომელიც მტკიცდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და მოიცავს SAM მოდულისათვის ინფორმაციის მიწოდების, წაკითხვის და შემოსავლების სამსახურის სერვერზე ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის (მიღების/გადაცემის) წესს, აგრეთვე, განსაზღვრავს SAM მოდულის მეშვეობით ხელმოწერილი ჩეკის უნიკალური ნიშნის–



შტრიხკოდის ტიპს და მასში დასაბეჭდ ინფორმაციას, განთავსებული უნდა იქნეს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე.“.

2. 23⁵ მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) არ არის ჩართული ფისკალური მეხსიერება და მომხმარებლებთან ნაღდი ფულადი ანგარიშსწორების განხორციელება ხდება არაფისკალური რეჟიმით.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. აგს-ში ტექნიკური საშუალების დაზიანების შემთხვევაში, პირი ვალდებულია ამ დაზიანების აღმოფხვრამდე შეაჩეროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ოპერაციები და წერილობით ან ელექტრონულად, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით, გონივრულ ვადაში აცნობოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნულის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია გამოიყენოს სსა ან ამ წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატი.“;

გ) მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ვერ ღებულობს მონაცემებს, რომელიც დაცულია ფისკალურ მეხსიერებაში, რაც აუცილებელია საგადასახადო ორგანოების მხრიდან სათანადო კონტროლის განსახორციელებლად.“.

3. 23⁶ მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სსა-დან/ტექნიკური საშუალებიდან ამობეჭდოს კონკრეტული პერიოდის მიხედვით ფისკალურ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია ამონაგები თანხის შესახებ.“;

ბ) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სსა-დან/ტექნიკური საშუალებიდან ამობეჭდოს კონკრეტული პერიოდის მიხედვით ფისკალურ მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია ამონაგები თანხის შესახებ და დაადგინოს ამ თანხების პირის საბუღალტრო დოკუმენტაციაში ასახვის სისწორე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №207

2015 წლის 7 ივლისი, ქ. თბილისი

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, №172, 31.12.2010, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის 84-ე მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„8. ქ. თბილისში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაკარგული, გამოსაყენებლად ან შემდგომი მიწოდებისთვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დადასტურება საგადასახადო ორგანოს მიერ განხორციელდეს პირდაპირ, ადგილზე გაუსვლელად, საგადასახადო მონაცემთა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №215**

2015 წლის 13 ივლისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის 1¹ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1² პუნქტი:

„1². საზღვაო გზით შემოტანილი და საქართველოდან ტრანზიტით, სახმელეთო ტრანსპორტით გასატანი საყარი საქონლის დეკლარირებისას, დეკლარანტის სურვილის შემთხვევაში, მოწმობის გამოწერა შესაძლებელია საზღვაო სატრანსპორტო საშუალებიდან მის ჩამოტვირთვამდე.“.

2. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) საზღვაო გზით შემოტანილი და მოწმობის გამოწერით ტრანზიტში დეკლარირებული საყარი საქონლის დროებით შენახვისას.“.

3. 38-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. 58-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 58. ტრანზიტის დეკლარირება

1. ტრანზიტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით ხდება მხოლოდ:

ა) საქართველოდან ტრანზიტით გასატანი საქონლის დეკლარირება, იმ შემთხვევაში, როცა საქონლის მიმართ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია განხორციელდა საბაჟო დეკლარაციის მეშვეობით;

ბ) მილსადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება;



გ) საქართველოდან საზღვაო ტრანსპორტით გასატანი საქონლის ტრანზიტის დასრულება (გარდა კონტეინერებში და სხვა სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა).

2. საქონლის ტრანზიტში დეკლარირების დროს, თუ არ არსებობს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით განხორციელებული წინმსწრები ოპერაცია, საბაჟო დეკლარაციად ითვლება საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენილი და სათანადო წესით დამოწმებული:

ა) **TIR**-წიგნაკი, რომლითაც ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი საქონლის საბაჟო კონტროლზე აყვანა;

ბ) მოწმობა – **TIR**-წიგნაკის არქონის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში;

გ) სატრანსპორტო საშუალების თანმხლები დოკუმენტი – თავისი სვლით გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალების, მისაბმელის, ნახევრადმისაბმელის შემთხვევაში;

დ) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია – ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადასატანი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონლის შემთხვევაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის შესახებ ინფორმაცია აისახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში.

4. სახმელეთო გზით შემოტანილი და საქართველოდან ტრანზიტით, საზღვაო ტრანსპორტით გასატანი საქონლის გადაადგილება ხორციელდება გამგზავნ საბაჟო გამშვებ პუნქტში გამოწერილი მოწმობით, ხოლო საქონლის (გარდა კონტეინერებში და სხვა სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა) ტრანზიტის დასრულების მიზნით, დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტში (გაფორმების საგადასახადო ორგანოში) დამატებით წარედგინება სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია.

5. საზღვაო გზით შემოტანილი და საქართველოდან სახმელეთო ტრანსპორტით გასატანი (რაც დასტურდება საქონლის თანმხლები ან/და სხვა დოკუმენტებით) საყარი საქონლის ტრანზიტში დეკლარირება მოწმობის გამოწერით შესაძლებელია საზღვაო სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის ჩამოტვირთვამდეც.

6. საქართველოდან ტრანზიტით გასატან საქონელზე, რომელზეც წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია განხორციელდა საბაჟო დეკლარაციით, სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება გაფორმების იმ ორგანოში, სადაც განხორციელდა წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია და, საქონლის სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის შემთხვევაში, ამავე ორგანოს მიერ გაიცემა მოწმობა.“.

5. მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ვ) ამ ინსტრუქციის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №216

2015 წლის 13 ივლისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31/07/2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 33-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით იმ საქონლის დროებითი შემოტანისას, რომელიც იმპორტის შემთხვევაში არ იბეგრება იმპორტის გადასახადით;“.

2. 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებითი შემოტანისას – იმპორტის გადასახდელების შესაბამის თანხას (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის შემთხვევაში დღგ-ის თანხის გარდა), რომელიც გადაიხდებინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას;“.



3. 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დატოვების შემთხვევაში იგი უნდა მოექცეს იმპორტში, ამასთან:

ა.ა) თუ მიზნობრივი სტატუსი გაუქმდა საქონლის მფლობელის მიერ შესაბამისი პირობების დარღვევის შედეგად, საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის დღიდან და იმპორტის გადასახდელებს უნდა გამოაკლდეს საქონლის იმპორტში მიზნობრივი დანიშნულებით გაშვების დროს გადახდილი გადასახდელების ოდენობა, გარდა იმ თანხებისა, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს საგადასახადო ჩათვლა;

ა.ბ) თუ მიზნობრივი სტატუსი (კერძოდ, გრანტისა და ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი) გაუქმდა საქონლის მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, საგადასახადო ვალდებულებები წარმოიშობა საქონლისათვის აღნიშნული სტატუსის გაუქმების დღიდან და იმპორტის დროს გადასახდელ იმპორტის გადასახდელებს უნდა გამოაკლდეს საქონლის იმპორტში მიზნობრივი დანიშნულებით გაშვების დროს გადახდილი გადასახდელების ოდენობა, გარდა იმ თანხებისა, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს საგადასახადო ჩათვლა;“.

4. 74-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ ინსტრუქციის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქონლის რეექსპორტისას ხორციელდება გადახდილი იმპორტის გადასახდელების (გარდა იმ თანხებისა, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს საგადასახადო ჩათვლა) დაბრუნება ან მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლა იმ სასაქონლო ოპერაციისთვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით, რომელშიც მოქცეული იყო საქონელი.

6. დროებით შემოტანილი, იმპორტის გადასახდელებისგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის დროებითი შემოტანის ვადის გასვლამდე რეექსპორტის შემთხვევაში, დაბრუნებას ან/და მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩათვლას ექვემდებარება სხვაობა მთელ გადახდილ თანხასა (გარდა იმ თანხებისა, რომელზედაც გადამხდელს მიღებული აქვს საგადასახადო ჩათვლა) და საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე კუთვნილ იმპორტის გადასახდელებს შორის.“.

5. 87-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დამატებული ღირებულების გადასახადის ოდენობას (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისა) – დროებითი შემოტანის თანხის **0.54** პროცენტს ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არაუმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის **18** პროცენტისა;“.



მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №238

2015 წლის 29 ივლისი, ქ. თბილისი

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, №172, 31.12.2010, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიმდინარე კონტროლის პროცედურების შედეგების შესახებ (გარდა ამ წესის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 23⁶ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურისა) დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ მიმდინარე კონტროლის პროცედურების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი და გადასახადის გადამხდელი/მისი წარმომადგენელი, აგრეთვე პროცედურებში მონაწილე სხვა პირი, რომლებსაც უფლება აქვთ ოქმის შენიშვნის გრაფაში დააფიქსირონ გამოვლენილი განსაკუთრებული ფაქტები და გარემოებები.“.



2. 22-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სსა-ის გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურები შესაძლებელია ჩატარდეს დამსწრეების გარეშე. ამასთან, ამ მუხლის მე-6 პუნქტით და 23⁶ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელებისას დამსწრის არარსებობის შემთხვევაში, სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენება (ვიდეო ან აუდიო ჩაწერის წარმოება) სავალდებულოა.“.

3. 23⁶ მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სსა-ის/ტექნიკური საშუალების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურები შესაძლებელია ჩატარდეს დამსწრეების გარეშე. ამასთან, ამ მუხლის მე-6 პუნქტით და 22-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელებისას დამსწრის არარსებობის შემთხვევაში, სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენება (ვიდეო ან აუდიო ჩაწერის წარმოება) სავალდებულოა.“.

4. 70-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის არსებობის შესახებ, ამ წესის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტით და 23⁶ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელებისას, დამსწრეთა არარსებობის შემთხვევაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №239

2015 წლის 29 ივლისი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:



მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ პუნქტი:

„7¹. ექსპორტისათვის ან რეექსპორტისათვის განკუთვნილ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს:

ა) საქონლის წარდგენას საბაჟო კონტროლის ზონაში;

ბ) საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.“.

2. 23-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პირის მიერ სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას, წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტი (გარდა ექსპორტისათვის ან რეექსპორტისათვის განკუთვნილი, საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი საყარი საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევისა) და საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი დანართი №IV-01-ის შესაბამისად.“;

ბ) მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) ექსპორტისათვის ან რეექსპორტისათვის განკუთვნილი, საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი საყარი საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტი.“.

3. 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.ე“ ქვეპუნქტი:

„გ.ე) ცვლილება ხორციელდება საქართველოდან ექსპორტით ან რეექსპორტით, საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე წარდგენილ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში, საქონლის დროებით შენახვისას ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას;“.

4. 112-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დეკლარანტის წერილობითი განცხადება (გარდა ამ ინსტრუქციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), თუ მის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ გაშვებული საქონლის სახეობების რაოდენობა ან/და საქონლის რაოდენობა ან/და საქონლის ღირებულება ან/და საქონლის საბაჟო ღირებულება ან/და



გადასახდელების თანხის ოდენობა ნაკლებია საბაჟო დეკლარაციაში და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებულ შესაბამის მონაცემებზე“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №247

2015 წლის 4 აგვისტო, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012წ., სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ – 7⁵ პუნქტები:

„7¹. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ახალი მესაკუთრე ვალდებულია, ხელშეკრულების ან საქონლის ნასყიდობის სხვა დოკუმენტის შესაბამისად საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში ან წარადგინოს საქონლის დროებით შენახვის განაცხადი.

7². საბაჟო საწყობში დროებით შენახული საქონელი (საქართველოში მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გარდა) შესაძლებელია დაგირავდეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით დადებული გარიგებისა და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში („საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში) რეგისტრაციის საფუძველზე.



7³. დროებით შენახული დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260¹ მუხლის შესაბამისად მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში, მოგირავნე ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში ან წარადგინოს საქონლის დროებით შენახვის განაცხადი. ამასთან, საგადასახადო ორგანოს წარედგინება გირავნობის გარიგება და ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:

ა) დამგირავებლის თანხმობა დაგირავებული საქონლის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემაზე;

ბ) სააღსრულებო ფურცელი;

გ) სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული გირავნობის მოწმობა.

7⁴. დროებით შენახული დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის შესაბამისად რეალიზაციის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში ან წარადგინოს საქონლის დროებით შენახვის განაცხადი, ასევე საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საქონელზე საკუთრების უფლების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7⁵. ამ მუხლის 7³ და 7⁴ პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში ხორციელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები.“.

2. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტები:

„ო) დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260¹ მუხლის შესაბამისად მოგირავნის საკუთრებაში გადასვლისას – გირავნობის გარიგება და დამგირავებლის თანხმობა დაგირავებული საქონლის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემაზე ან სააღსრულებო ფურცელი ან სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული გირავნობის მოწმობა;

პ) დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის შესაბამისად რეალიზაციის შემთხვევაში – საქონელზე საკუთრების უფლების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

3. 64-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბაჟო საწყობში შენახულ, საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ საქონელზე (შიდა გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული საქონლის, გადაუმუშავებელი საქონლის, ნაშთის ან/და ნარჩენების გარდა) საკუთრების უფლების გადაცემა დასაშვებია საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების ან საქონლის ნასყიდობის სხვა დოკუმენტის საფუძველზე.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 – მე-7 პუნქტები:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ახალი მესაკუთრე ვალდებულია, ხელშეკრულების ან საქონლის ნასყიდობის სხვა დოკუმენტის შესაბამისად საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში.

4. საბაჟო საწყობში შენახული, საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი (შიდა გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული საქონლის, გადამუშავებელი საქონლის, ნაშთის ან/და ნარჩენების და საქართველოში მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გარდა) შესაძლებელია დაგირავდეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით დადებული გარიგებისა და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში („საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში) რეგისტრაციის საფუძველზე.

5. დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260¹ მუხლის შესაბამისად მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში, მოგირავნე ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში.

6. დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის შესაბამისად რეალიზაციის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაში.

7. ამ მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაბამისი ინფორმაცია შეიტანება წინმსწრებ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში, რომელიც ჩაითვლება ძალადაკარგულად.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №258

2015 წლის 10 აგვისტო, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პირის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით გასატანი საქონელი, რომელიც, დადგენილი წესის შესაბამისად, დეკლარირდება ზეპირად ან ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით ან გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით;“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ექსპორტით გასატანი, ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონელი (გარდა შავი, ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა) სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით დეკლარირებას ექვემდებარება საბაჟო გამშვებ პუნქტში.“.

2. 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ექსპორტით გასატანი, ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონლის (გარდა შავი, ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა) დეკლარირება შესაძლებელია საბაჟო გამშვებ პუნქტში სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით.“.

3. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:



„6) მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის შემთხვევაში - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის ან შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

4. 49-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის საქართველოდან გატანის დროს, გარდა ამ საქონლის გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით დეკლარირების შემთხვევისა;“.

5. დანართი №XI-01 -ის (ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია):

ა) III ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი, თქვენი სურვილისამებრ, შეგიძლიათ შეავსოთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“ ან წარადგინოთ გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, ან განახორციელოთ დეკლარირება სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით.“;

ბ) „მნიშვნელოვანი ინფორმაციის“ მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ თქვენ მიერ საქართველოდან გასატანი საქონლის საბაჟო ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს და მეტს, ან/და საქონლის გატანისათვის საჭიროა ნებართვა-ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით.“.

6. 55-ე მუხლის მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ ქვეპუნქტი:

„ა¹) მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში - საბაჟო გამშვებ პუნქტში ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით, რომელთან ერთადაც წარედგინება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის ან შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი;“.

7. 56-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ექსპორტით გასატანი საქონლის სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებისას ზედნადების წარდგენილი ეგზემპლარების უკანა გვერდზე მიეთითება გაშვების ნებართვის დამადასტურებელი აღნიშვნა.“.

8. 70-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განახორციელოს საქონლის დეკლარირება სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით, ან“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 15 აგვისტოდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის**ბრძანება №273**

2015 წლის 19 აგვისტო, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 10 აგვისტოს №258 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 10 აგვისტოს №258 ბრძანებაში (ვებგვერდი, 11.08.2015წ., სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016790) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:

„ჟ) მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის ექსპორტის შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის ან შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის

შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №275**

2015 წლის 21 აგვისტო, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.016424) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნაღდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებსა ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.“.

2. 23-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნაღდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებზე ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე (რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) – წარმომავლობისა და მიზნობრიობის დამადასტურებელი დოკუმენტი.“.

3. 49-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია (დანართი №XI-01) ივსება საბაჟო გამშვებ პუნქტში, დეკლარაციის მე-3 ნაწილში მითითებული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისას, ფიზიკური პირის მიერ ან საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.“.

2. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება ფიზიკური პირის სურვილისამებრ – ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. გაურკვეველად შევსებული დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს მიერ არ მიიღება.“;



ბ) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) როდესაც საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირი „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს მის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმ საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, რომელიც მასთან ერთად არ გადაადგილდება.“.

4. დანართი №XI-01 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

მინისტრის მოვალეობის

შემსრულებლი

გიორგი თაბუაშვილი

„დანართი №XI-01

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია

I. გადაადგილების მიზანი

1. საქართველოში შემოსვლა
2. ტრანზიტი
3. საქართველოდან გასვლა.

II. ინფორმაცია პირის შესახებ

1. სახელი
2. გვარი
3. საცხოვრებელი ადგილი (ქვეყანა, მისამართი).....
4. მოქალაქეობა.....
5. სამგზავრო დოკუმენტის №..... პირადი №
6. დაბადების ადგილი და თარიღი
7. ქვეყანა, საიდანაც ჩამობრძანდით.....
8. ქვეყანა, სადაც მიემგზავრებით
9. თან მიმაქვს ბარგი/ხელბარგი
10. ჩემგან დამოუკიდებლად იგზავნება ბარგი

III. ინფორმაცია საქონლის შესახებ

1. თან მაქვს ან ბარგით/ხელბარგით გადავაადგილებ შემდეგ საქონელს:

ა) ნაღდი ფული (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკები ან/და სხვა ფასიანი ქაღალდები, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს, ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში
 დიახ არა

ბ) იარაღი ან ასაფეთქებელი მასალა
 დიახ არა

გ) ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერება
 დიახ არა

დ) ანტიკვარული ან ხელოვნების ნიმუში
 დიახ არა



ე) მომწამვლელი ნივთიერება ან მედიკამენტი
დიახ არა

ვ) მცენარე ან/და ცხოველი, მათი ნაწილები ან მათგან მიღებული პროდუქტი
დიახ არა

ზ) მაღალი სიხშირის რადიოელექტრონული მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალება
დიახ არა

თ) რადიოაქტიური მასალა
დიახ არა

ი) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ან/და იმპორტის გადასახდელებით დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონელი
დიახ არა

კ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი (გრაფა ივსება პირის სურვილის შემთხვევაში)
დიახ

ლ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში (იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებით) მოსაქცევი, ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონელი
დიახ არა

2. საქართველოში შემოვდივარ მუდმივად საცხოვრებლად და განზრახული მაქვს შემოვიტანო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელი, რომელიც ჩემთან ერთად არ გადაადგილდება
დიახ

3. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ა“-„თ“ ქვეპუნქტებში აირჩიეთ დადებითი პასუხი, შეავსეთ ცხრილი:

საქონლის დასახელება	რაოდენობა (კგ., ცალი), თანხის ოდენობა	*საქონლის მესაკუთრე/მიმღებო	*ვალუტის/ფასი ან ქალაქის სახეობა	*საქონლის წარმომავლობა და მიზნობრიობა	შენიშვნა

შენიშვნა:
ა) ვარსკვლავით (*) მონიშნული გრაფები ივსება მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში;



ბ) სამართალდარღვევის გამოვლენისას, საბაჟო გამშვები პუნქტის შესაბამის თანამშრომელს შეაქვს შესწორებული მონაცემები ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში, ხოლო დეკლარაციის არარსებობის შემთხვევაში, ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ავსებს ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციას (სანქციის სახით საქონლის ჩამორთმევის შემთხვევის გარდა) და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის შენიშვნის გრაფაში მიუთითებს სამართალდარღვევის ოქმის ნომერს და შედგენის თარიღს. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში შეტანილი მონაცემები დასტურდება ფიზიკური პირის ხელმოწერითა და საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის ხელმოწერითა და ბეჭდით. თუ ფიზიკური პირი უარს აცხადებს საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის მიერ შევსებული დეკლარაციის ხელმოწერით დადასტურებაზე (საქონლის დეკლარირებაზე), მას ეკრძალება საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილება.

4. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი (როგორც საქონლის საქართველოში შემოტანის, ასევე ტრანზიტით გადაადგილების დროს), შეავსეთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“, გარდა ამ საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევისა.

5. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი, თქვენი სურვილისამებრ შეგიძლიათ შეავსოთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“ ან წარადგინოთ გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, ან განახორციელოთ დეკლარირება სასაქონლო ზედნადების/ზე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით.

6. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში ან მე-2 პუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი, შეავსეთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“. ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში მიეთითება მანქანის მარკა, მოდელი, VIN კოდი, შასის ნომერი, გამოშვების წელი.

თარიღი „.....“ 20წელი
 ფიზიკური პირის ხელმოწერა

საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის ხელმოწერაბ.ა.

(მეორე გვერდი)

მოგესალმებათ შემოსავლების სამსახური !!!

შემოსავლების სამსახური ვალდებულია, აღკვეთოს აკრძალული ნივთების ქვეყანაში შემოტანა. საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომელი უფლებამოსილია დაგისვით შევითხვები, შეამოწმოს თქვენი პირადი ბარგი და ხელბარგი. თუ თქვენ შეგარჩიეს შემოწმებისათვის, საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები მოგეპყრობიან თავაზიანად, პროფესიონალურად და დაიცავენ თქვენს უფლებებს. საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები უპასუხებენ თქვენს შევითხვებს.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. ნებისმიერი ოდენობით ვალუტის საქართველოში შემოტანა და მისი გატანა თავისუფლდება გადასახდლებისაგან, თუმცა, პირის მიერ ნაღდი ფულის (ეროვნული უცხოური ვალუტა), ჩეკების სხვა ფასიანი ქაღალდების, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, საზღვარზე გადაადგილება ექვემდებარება სავალდებულო დეკლარირებას.

2. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ განახორციელებს სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის დეკლარირებას, მის მიმართ გატარდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიებები.

3. იმპორტისას გადასახდლებისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ:

ა) კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06-12, 15-21 ჯგუფებისა და 0302-0307, 2201-2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;



ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-97 ჯგუფების შესაბამისი 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

გ) საჭაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ ქვეპუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტი, ასევე 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;

დ) საჭაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-97 ჯგუფების შესაბამისი 3000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

4. თუ თქვენ მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის პარამეტრები აღემატება „მნიშვნელოვანი ინფორმაციის“ მე-3 პუნქტში აღნიშნულს ან/და საქონლის შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა/ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციით ან გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, რისთვისაც თქვენ შეგიძლიათ:

ა) საქონელი დროებით დაასაწყობოთ საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ საბაჟო საწყობში ან საბაჟო ტერმინალში და წარადგინოთ შესაბამისი განაცხადი, ან

ბ) საქონელი თქვენ მიერ მითითებულ გაფორმების ადგილამდე გადაადგილოთ „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით“ ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით.

5. თუ თქვენ მიერ საქართველოდან გასატანი საქონლის საბაჟო ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს და მეტს, ან/და საქონლის გატანისათვის საჭიროა ნებართვა/ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით.

6. თუ თქვენ საქართველოში დროებით შემოგაქვთ იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებული საქონელი, შეგიძლიათ დაადეკლარიროთ ამ დეკლარაციით.

7. თუ თქვენ საქართველოში შემოდიხართ მუდმივად საცხოვრებლად და განზრახული გაქვთ შემოიტანოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელი, რომელიც თქვენთან ერთად არ გადაადგილდება, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად:

ა) უნდა შეავსოთ ეს დეკლარაცია, დეკლარაციის III ნაწილის მე-2 პუნქტში აირჩიოთ დადებითი პასუხი და შეავსოთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“;

ბ) სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოსაქცევად საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა უნდა განახორციელოთ საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან ან საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.“.

=====

=====

=====



საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №279

2015 წლის 21 აგვისტო, ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №2-ში:

ა) ამოღებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველები:

„122	0732	სსიპ – ვერაზის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი
584	4224	ა(ა)იპ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი
597	4237	ა(ა)იპ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

ბ) დამატებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველები:

„338	0950	ა(ა)იპ – „შეცვალე სცენარი“
688	4328	ა(ა)იპ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“

2. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №3-ში (ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები):

ა) ამოღებულ იქნეს სახაზინო კოდი:

„სსიპ – ვერაზის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7068“.
---	--------

ბ) სახაზინო კოდი – 7331 (სსიპ – თსუ-ს საკლათბურთო კლუბი „ს.კ. თსუ“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

„ქ. თბილისის ა(ა)იპ – „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7332“.
--	--------


მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის

შემსრულებლი

გიორგი თაბუაშვილი





i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №164

2015 წლის 9 ივნისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 03.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის 41-ე მუხლის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოგების გადასახადის დეკლარაცია შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართებისაგან. დანართები დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია და მათი წარდგენა ხორციელდება ნებაყოფლობით. ტოტალიზატორის მომწეობი პირი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-16 ნაწილის შესაბამისად მოგების გადასახადს იხდის ამ საქმიანობის მიხედვით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავლიდან, დეკლარაციის III ნაწილში ვალდებულია შეავსოს მხოლოდ მე-16 და მე-40 სტრიქონები.“.

2. 1¹ პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 29 მაისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №188**

2015 წლის 22 ივნისი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 03.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლის მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. იმ შემთხვევაში, თუ 2016 წლისათვის ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით, 2015 წლის აპრილიდან მაისის ჩათვლით პერიოდში, სავაჭრო ქსელში არსებული ფასების შესწავლისას შემოსავლების სამსახურის მიერ გამოვლინდა 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის რომელიმე დასახელების/ ქვედასახელების საცალო სარეალიზაციო ფასისაგან განსხვავებული ფასი, შემოსავლების სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლებელია 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის „ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში 2015 წლის 1 ივლისამდე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №191

2015 წლის 25 ივნისი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში

ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 03.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის 111¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) უფასო მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარედგინება: ა.ა) განცხადება, №I-02 დანართის შესაბამისად;

ა.ბ) ქართულ ენაზე შესრულებული ან თარგმნილი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, თუ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური



**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №199****2015 წლის 30 ივნისი, ქ. თბილისი****„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112, 3.01.2011წ.) დამტკიცებული ინსტრუქციის მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. საჯარო გადაწყვეტილება

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოსცეს საჯარო გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ.

2. საჯარო გადაწყვეტილება შეიძლება გამოიცეს:

ა) ყველა ან გარკვეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელთა მიმართ ან/და

ბ) ყველა ან გარკვეული კატეგორიის სამეურნეო ოპერაციების მიმართ ან/და

გ) გარკვეული კატეგორიის დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიმართ.

3. საჯარო გადაწყვეტილების პროექტის ინიცირების უფლება აქვს შემოსავლების სამსახურს ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

4. შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებული საჯარო გადაწყვეტილების პროექტი განსახილველად ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული საჯარო გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. დოკუმენტი საჯარო გადაწყვეტილებად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მითითებულია, რომ იგი არის საჯარო გადაწყვეტილება.

7. საჯარო გადაწყვეტილება ძალაში შედის მასში მითითებული თარიღიდან.

8. საჯარო გადაწყვეტილება მოქმედებს უვადოდ ან მასში მითითებული ვადით.



9. საჯარო გადაწყვეტილება არ გამოიყენება, თუ შეიცვალა ან გაუქმდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა, რომლის გამოყენების შესახებაც გამოიცა ეს გადაწყვეტილება.

10. საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნოს ან შეცვალოს საჯარო გადაწყვეტილება.

11. საჯარო გადაწყვეტილებაში განხორციელებული ცვლილება უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, როგორც იყო გამოქვეყნებული საჯარო გადაწყვეტილება.

12. თუ პირი მოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მკონტროლებელი/სამართალდამცავი ორგანოს მიერ ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და დამატებით გადასახადის/სანქციის დარიცხვა.

13. თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება ორი საჯარო გადაწყვეტილება ან საჯარო და წინასწარი გადაწყვეტილებები, პირი უფლებამოსილია იმოქმედოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების შესაბამისად, თავისი შეხედულებისამებრ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი თაბუაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №248

2015 წლის 4 აგვისტო, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **გბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 200090000.22.033.016112, 03.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 78¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, არააქციოზური საქონლის სავალდებულო მარკირება შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლის მე-7 პუნქტისაგან განსხვავებული წესით.“.

**2. 79³ მუხლის:**

„ა) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მე-3 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული პროდუქციის სახეობა (ალკოჰოლური სასმელი, ლუდი, ფილტრიანი თამბაქო, უფილტრო თამბაქო, სიგარა, სიგარელა, არააქციზური საქონელი);“;

ბ) მე-6 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მე-2 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის მიერ წარმოებული /იმპორტირებული საქონლის სეს ესნ-ის კოდი, „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანების შესაბამისად;“;

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მე-4 სვეტში მიეთითება – მომხმარებლის მიერ წარმოებული/იმპორტირებული აქციზური/არააქციზური პროდუქციის ერთეულის ლიტრაჟი, თამბაქოს ნაწარმზე – კოლოფში განთავსებული ღერების რაოდენობა;“.

3. დაემატოს შემდეგი შინაარსის 79⁴ მუხლი:

„მუხლი 794. შემოსავლების სამსახურის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისას გაცემული მატერიალური ფორმის მარკების ფონური ფერები და შეფუთვის ფორმები

1. შერჩეული პირის მიერ ადგილობრივი და იმპორტული არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისას გაცემული მატერიალური ფორმის მარკების ფონური ფერია წითელი ან წითელი-ლურჯი.

2. შერჩეული პირის მიერ არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირებისას გასაცემი მატერიალური ფორმის მარკების გაცემა ხორციელდება შეფუთული სახით, 1000-ცალიანი, 5000-ცალიანი ან 6000-ცალიანი რულონის (თვითწებადი) ფორმით.

3. შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის მარკების საიდენტიფიკაციო ინფორმაცია დაშიფრულია უხილავი მატრიცის/კოდის საშუალებით.

4. რულონური ტიპის თვითწებად მარკებზე დატანილია სერიული ნომერი საქონლის მარკირების შესახებ საინფორმაციო ბაზაში მათი გამოყენების ასახვისათვის (გააქტიურებისათვის).

5. შემოსავლების სამსახურისა და შერჩეული პირის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, შერჩეული პირი მარკების გაცემას ახორციელებს ნაწილობრივი ფორმით.“.



4. მე-80 მუხლის მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, გასცეს არსებული სხვა სახეობისა და სეს ესნ-ის სხვა კოდის საქონლისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა, ხოლო პროდუქციის სახეობის ფარგლებში, სეს ესნ-ის შესაბამისი კოდის მქონე იმპორტული ალკოჰოლური სასმელისათვის განკუთვნილი აქციზური მარკების მარაგის ამოწურვის შემთხვევაში, მარკირების/ნიშანდების მოთხოვნების (მათ შორის, ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარების ან/და საკოლექციო მიზნით საქართველოში შემოტანილი) სრულად დაკმაყოფილების მიზნით, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, გასცეს სეს ესნ-ის სხვა კოდის საქონლისათვის განკუთვნილი იგივე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მარაგში არსებული ყველაზე დაბალი ტარის მოცულობისათვის განკუთვნილი აქციზური მარკა.“.

5. 81¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 81¹. შერჩეული პირის მიერ მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის დაბრუნება

1. იმპორტირებული და ადგილობრივი ნაწარმისათვის განკუთვნილი გამოუყენებელი მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის უკან დაბრუნების მიზნით, გადასახადის გადამხდელი ელექტრონული განაცხადით მიმართავს შერჩეულ პირს. გამოუყენებელი მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის უკან დაბრუნება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის დასტურის საფუძველზე.

2. გამოუყენებელი მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის უკან დაბრუნება ხორციელდება შერჩეული პირის მიერ მარკების შესწავლის შედეგების შემოსავლების სამსახურისთვის შეტყობინების შემდეგ, შემოსავლების სამსახურისგან მიღებული დასტურის შესაბამისად, როგორც ნაწილობრივი, ასევე 79² მუხლის მე-2 პუნქტით და 79⁴ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შეფუთვების ფორმით. თამბაქოსათვის განკუთვნილი აქციზური მარკების დაბრუნების შემთხვევაში, უკან დაბრუნებული აქციზური მარკების შეფუთვების ფორმები უნდა შეესაბამებოდეს მის გაცემისას არსებულ ფორმებს, გარდა 79² მუხლის მე-2 პუნქტის „დ“, „ე“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. დაბრუნებული მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკის ნომინალური ღირებულების საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4. დაზიანებული მატერიალური ფორმის აქციზური/არააქციზური მარკა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5. შერჩეული პირი ახდენს უკან დაბრუნებული აქციზური/არააქციზური მარკის აღრიცხვასა და უტილიზაციას. უტილიზაცია ხორციელდება შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით, უფლებამოსილი პირების თანდასწრებით.“.

6. 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 და მე-14 პუნქტები:



„13. 2016 წლის 1 იანვრამდე, შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვროს 1000 ცალ ერთეულზე 10 ლარის ოდენობით (დღგ-ის გარეშე).“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 ნოემბრიდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №257

2015 წლის 10 აგვისტო, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 03.01.2011 წ., სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამეწარმეო საქმიანობისათვის, სასაქონლო ზედნადები/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები სავალდებულოა გამოყენებულ იქნეს საქონლის:

ა) ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირებისას, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა საქონლის მიწოდება;

ბ) მიწოდებისას, მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში.“.

2. №II-01² დანართის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 25² მუხლი:

„მუხლი 25². ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები

1. ხე-ტყის სასაქონლო ზედნადები (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდეგში – ზედნადები) არის №II-01³ დანართის შესაბამისად დადგენილი ფორმის დოკუმენტი, რომლის შევსება სავალდებულოა ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემდეგ საქონელზე:



ა) მრგვალ ხე-ტყეზე (მორი) – ხე-ტყის ან ხე/მცენარის დამზადების შედეგად (მათ შორის, მოთხრილ-მოტეხილისგან) მიღებული, 12 სმ-ზე მეტი (წვრილი ბოლოდან) დიამეტრის მქონე მერქნული რესურსი;

ბ) მრგვალი ხე-ტყის (მორის) ან ხე-მცენარის პირველადი გადამუშავების პროდუქტზე, კერძოდ:

ბ.ა) ფიცარზე – სიგრძეზე დახერხილი მორის ნაწილი, რომლის სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ორჯერ და მეტად აღემატება სისქეს. ფიცარს აქვს ორი განიერი და ორი ვიწრო გვერდი;

ბ.ბ) ძელზე – სიგრძეზე დახერხილი ან გათლილი ხე (მორის ნაწილი), რომლის სისქე და სიგანე განივ ჭრილში 10 სანტიმეტრს აღემატება. ძელი შეიძლება იყოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოხერხილი;

ბ.გ) ძელაკზე – მცირე ზომის ძელი, სიგრძეზე გახერხილი მორის ნაწილი. მისი სისქე სწორკუთხა განივ ჭრილში 10 სანტიმეტრზე მეტი არ არის, ხოლო სიგანე ნაკლებია ორმაგ სისქეზე;

ბ.დ) შპალზე – დახერხილი ხის მასალა, რომელიც გამოიყენება რკინიგზის ან ტრამვაის ლიანდაგებისათვის ვაკისზე რელსების საყრდენად. შპალები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: ძელისებური, ორმხრივ ჩამოხერხილი (ჩამოგანული) და სწორკუთხოვანი. შპალი შეიძლება იყოს გაუქვნილი ან გაუქვნიანი;

ბ.ე) საპარკეტე ფრიზაზე – მცირე ზომის ნაშაბი, რომლის შეშრობისა და მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება პარკეტი;

ბ.ვ) შავად ნაშაბად დეტალზე – გარკვეული პროდუქტის მისაღებად საჭირო ზომისა და ფორმის ნაშაბი, რომლის მცირე (მექანიკური) დამუშავების შედეგად მიიღება სასურველი სახის დეტალი;

ბ.ზ) ფანერაზე (შპონი) – სპეციალურ დაზგა-დანადგარზე მერქნის დაშლით მიღებული და გარკვეული ზომის ფორმატებად დაჭრილი ან მერქნის მცირე სისქის ანათლებად აჭრილი პროდუქტი;

ბ.თ) დაპობილ-დაჩეხილ სათბობ შემაზე;

გ) ხე-მცენარეებზე – თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებული ხე-მცენარეები, მათ შორის, კაკლის, ბალაშჩარას, წაბლისა და თუთის სახეობები (გარდა სხვა ხილ-კენკროვანი სახეობებისა და ბამბუკისა);

დ) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილ მრგვალ ხე-ტყეზე (მორზე) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყეზე.

2. ამ ინსტრუქციის 25¹ მუხლით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება ამავე ინსტრუქციის №II-01³ დანართით დამტკიცებული ფორმის ზედნადებზე.



3. ზედნადების მე-20 სტრიქონში მიეთითება მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე/მცენარის ან მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის წარმოშობის, შემენის ან იმპორტის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის დასახელება, თარიღი და ნომერი, კერძოდ:

ა) მრგვალი ხე-ტყის (მორი) ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ლიცენზიის ან შესაბამისი გრძელვადიანი ტყითსარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპოვებულ ხე-ტყეზე დადგენილი წესით გაცემული – ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01³ დანართით გათვალისწინებული ზედნადები;

ბ) ხე/მცენარის ან მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე/მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა ან/და დადგენილი წესით გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01³ დანართით გათვალისწინებული ზედნადები;

გ) იმპორტის შემთხვევაში – იმპორტის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

დ) სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის და მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის შემთხვევაში – შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული გასხვისების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი;

ე) სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრებით მიღებული ხე-ტყის (მორის) შემთხვევაში - შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი;

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მრგვალი ხე-ტყის (მორის), ხე/მცენარის და მათი პირველადი გადამუშავების პროდუქტის პირის (მათ შორის, სახელმწიფოს) საკუთრებაში მიქცევის შემთხვევაში – სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ზ) ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყისა(მორის) და წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის შემთხვევაში - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობა ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი ან ამ ინსტრუქციის №II-01³ დანართით გათვალისწინებული ზედნადები.

4. ზედნადების 21-ე სტრიქონში მიეთითება მრგვალი ხე-ტყის (მორი), ხე-მცენარის სპეციალური ფირნიშის ნომერი. სპეციალური ფირნიშის ნომრის მითითება სავალდებულო არ არის ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი მრგვალი ხე-ტყის (მორის), ასევე წვრილი ბოლოდან 12 სანტიმეტრის ჩათვლით დიამეტრის ხე-ტყის ტრანსპორტირებისას.

5. ზედნადების შევსების ვალდებულება არ ვრცელდება:

ა) სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყისა ან/და მისი პირველადი გადამუშავების პროდუქტებზე;



ბ) ხე-ტყის მომპოვებლის მიერ ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით მრგვალი ხე-ტყის (მორის) ტყიდან დანიშნულების ადგილამდე (პირველადი დასაწყობების ან პირველად გადამამუშავებელ ობიექტამდე) ტრანსპორტირებისას;

გ) თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ხე-მცენარეებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობით ან/და ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტით ხე-მცენარეების მისი მესაკუთრის მიერ ტრანსპორტირებისას, გარდა მიწოდებისა;

დ) აუქციონის შედეგების შესახებ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისას;

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით (ბრძანებით) და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით მერქნული რესურსის ტრანსპორტირებისას.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი უნდა შედგეს ამავე ქვეპუნქტებში მითითებული მერქნული რესურსის ტრანსპორტირების დაწყებისთანავე. მიღება-ჩაბარების აქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება შედგენიდან არაუმეტეს 24 საათისა. ამასთან, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ბრძანებები შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე არ წარმოადგენს ზედნადების გარეშე მერქნული რესურსის ტრანსპორტირების საფუძველს.“.

3. 25² მუხლის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №II-01³ .

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 15 აგვისტოდან.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





ზეგვის სასაქონლო ზედწიგვის ცხრილი

ჩიკოთი N	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ყოველწლიური ღირებულება	საქონლის ღირებულება
1	II	III	IV	V	VI	VII

13 მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ყოველწლიური და სიცხვედრისა)

14 გამოყენებული/გამყიდველი საქონლის ჩანაწერზე დაფუძნებული პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15 მიწოდებული/მიღებული საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16 ხელმოწერა

17 ხელმოწერა

18 მიწოდებული საქონლის ჩანაწერის თარიღი (თვე, თვე, წელი) დრო (ათათი, წუთი)

19

შენიშვნა

20

შრიფტი ზოგადი (პირი), ზემოთაღნიშნული პირის დასახელება და მისი თანამდებობის აღწერა, თარიღი და ნომერი

21

შრიფტი ზეგვის (პირი) ან ზემოთაღნიშნული პირის თანამდებობის ნომერი

* თვის გადამწვანებისთვის დაცვის ჩრდილოეთი აგვისტოს დასახელების აგვისტოს საქონლის დასახელება და აგვისტოს ჩრდილოეთი





მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ერთეულები და სიკვდიურად)

გამომდებელი/გაყიდავნი საქონლის ჩასაბრუნებელ უფლებამოსილი პირი
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

მიმდებელი/მიმღები/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი
(თანამდებობა, სახელი და გვარი)

ხელმოწერა

ხელმოწერა

მიწოდებელი საქონლის ჩანაწერი

თარიღი (რამდენი თვე, წელი)

დრო (საათი, წუთი)

შენიშვნა

* ფულს გაფაშხდელისათვის ფულს ჩაივლით, ატვიზის გაფაშხდელისათვის ატვიზურ საქონელზე, ფულს და ატვიზის ჩაივლით.

ეურნაღი

შეფასებები





საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №260

2015 წლის 12 აგვისტო, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03.01.2011წ., სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლს დაემატოს მე-9 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„9. ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოდან მიღების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო ლიკვიდირებულის სტატუსის მინიჭებას უზრუნველყოფს ამ პირთა მიმართ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებათა განხორციელების გარეშე.“.

2. 22¹ მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5. ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ამავე ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირისათვის ლიკვიდირებულის სტატუსის მინიჭების შემდეგ, არსებული ზედმეტობა გაუქმებულად ითვლება და გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ხორციელდება შესაბამისი კორექტირება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

**Semosavl ebi s samsaxuri s ganmar t eba****შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტზე****საწარმოს ყველა აქტივის მიწოდება**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად:

ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია: “დღგ-ის გადამხდელის მიერ საწარმოს ყველა აქტივის ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდება ერთი ოპერაციის ფარგლებში დღგ-ის მეორე გადამხდელისათვის, თუ მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებენ საგადასახადო ორგანოს ასეთი მიწოდების შესახებ. დამოუკიდებლად მოქმედ ქვედანაყოფად ითვლება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანმხლები კომუნიკაციების ერთობლიობა, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე”.

ანალიზი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ-ით) დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია. ამავე კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა „საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს, რომ „საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის რეალიზაცია, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ“.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არსებობს დღგ-ისგან გათავისუფლება ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე. ამავე კოდექსის, 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღგ-ისგან გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ „ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება“.



საქართველოს საგადასახადო კოდექსის **168**-ე მუხლი მთლიანად ეთმობა დღგ-ისგან გათავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს, რომელიც გულისხმობს პირის უფლებას ისარგებლოს შეღავათით, გათავისუფლდეს გადასახდისაგან ან/და ამ უფლების გამოყენებით შეიმცროს დასაბეგრი ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხის ოდენობა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც პირი თვავისუფლდება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გაწერილია ამ კოდექსის **168**-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით.

თუ ერთი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი გარიგების საფუძველზე აწოდებს მეორე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს, საწარმოს ყველა აქტივს, (ამ შემთხვევაში იგულისხმება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 და მე-15 ნაწილების მიხედვით გათვალისწინებული, როგორც მატერიალურ ასევე არამატერიალურ აქტივები) და ამ აქტივებთან ფუნქციურად დაკავშირებულ სხვა აქტივებს, რომელიც ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ობიექტია ძირითად აქტივთან ან/და აწოდებს მოძრავ აქტივებს, რომელიც ძირითადი აქტივის შემადგენელი ნაწილია. ამასთან, აღნიშნული მიწოდება ხორციელდება ერთი ოპერაციის ფარგლებში, ანუ ერთჯერადად დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისათვის და მიმწოდებელი და მიმღები მხარეები მიწოდებიდან **15** კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით ატყობინებენ საგადასახადო ორგანოს ამგვარი მიწოდების თაობაზე, ოპერაცია განიხილება ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულ ოპერაციად.

ამასთან, აღნიშნული ნორმა ორგანიზაციაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გავრცელდეს, თუ ორგანიზაცია ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მისი ქონების ნაწილი ამ კოდექსის **30**-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ითვლება საწარმოს ქონებად.

მიმღები შესაძლებელია იყოს ნებისმიერი დღგ-ის გადამხდელი პირი.

ფაქტობრივი გარემოება I : შპს „X“-სა და შპს „Y“-ს შორის, (ორივე მათგანი არის დღგ-ის გადასახდის გადამხდელი პირი), გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც შპს „X“-მა გადაწყვიტა მიყიდოს შპს „Y“-ს ჰიდროელექტროსადგური, ამ შემთხვევაში უძრავი ქონება – მატერიალური აქტივი, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურთან ფუნქციურად დაკავშირებული აქტივები, როგორც არის მაგალითად ჰესი, აღნიშნული ჰესი და აქტივები საწარმოს სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად ახდენენ ელექტროენერჯის წარმოებას. უძრავი ქონება თავისი დანიშნულებით წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონერებისათვის აუცილებელ, ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ ობიექტს, ხოლო მოძრავი აქტივები – ჰიდროელექტროსადგურის ელექტრო-მექანიკური სისტემის შემადგენელ ნაწილებს და მის მომსახურებისათვის საჭირო მოწყობილობებს.

შედეგი: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას და იმის გათვალისწინებით, თუ აქტივის მიმწოდებელი და მიმღები ასეთი მიწოდებიდან **15** კალენდარულ დღეში აცნობებენ საგადასახადო ორგანოს, ასეთი მიწოდების შესახებ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის **168**-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განიხილება საწარმოს ყველ აქტივისა და დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდებად და ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულ ოპერაციად.



ფაქტობრივი გარემოება II: დაუშვათ, შენობაში ფუნქციონირებს საზ.კვების ობიექტი. აღნიშნული შენობის 1/4 ნაწილი, რომელიც ცალკე დამოუკიდებელ ფუნქციონირებად ქვედანაყოფს (საწარმოს, ბიზნესს) არ წარმოადგენდა ინდ.მეწარმის მიერ გასხვისებული იქნა სხვა პირზე, ამასთან პირმა რომელიც ახდენდა ამ ბიზნესის ოპერირებას განაგრძო გასხვისებული შენობის ფაქტობრივი ფლობა/სარგებლობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, დანარჩენი 3/4 ნაწილი ინდ. მეწარმემ მიყიდა „შპს“-ს, რითაც შეწყვიტა ქონების 1/4 ნაწილით სარგებლობაც. ინდ. მეწარმემ ქონების თითოეული ნაწილის მიწოდება განიხილა დღგ-ით გათავისუფლებულ ოპერაციად და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად არ დაბეგრა დღგ-ით.

შედეგი: თუ ხდება ქონების ნაწილის და არა დამოუკიდებელი ფუნქციონირებადი ქვედანაყოფის მიწოდება, აღნიშნული გარემოება ვერ აკმაყოფილებს სსკ-ის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობას, შესაბამისად ოპერაცია უნდა შეფასდეს, როგორც ქონების რეალიზაცია და დაიბეგროს დღგ-ით. საწარმოს დაერიცხება დღგ-ის კუთვნილი გადასახადი და დეკლარაციაში გადასახდის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოება III: დღგ-ის გადასახდის გადამხდელ პირებს შორის - შპს „X“-სა და შპს „Y“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საწარმოს ყველა აქტივისა ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდების თაობაზე, მხარეებმა ასეთი მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობეს საგადასახადო ორგანოს განხორციელებული ოპერაციის შესახებ.

ანალიზი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას, თუ აქტივის მიმწოდებელი და მიმღები საწარმოს მიწოდებიდან 15 კალენდარულ დღეში აცნობენ საგადასახადო ორგანოს, აღნიშნული მიწოდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, განიხილება საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდებად და ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულ ოპერაციად.

იმის გათვალისწინებით, თუ შემოწმებით დადგინდა რომ აღნიშნული აქტივის მიწოდება არ აკმაყოფილებს 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით დადგენილ პირობებს, მაგრამ მიმწოდებლისა და მიმღების მიერ საგადასახადო ორგანოსათვის მიწოდებულია ინფორმაცია ასეთი მიწოდებიდან 15 კალენდარულ დღეში. მიმწოდებელს უფლება ეძლევა ამ ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება შეასრულოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გარეშე, ხოლო მყიდველი უფლებამოსილია მიიღოს კუთვნილი დღგ-ის ჩათვლა ამ კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვების გარეშე.



მსოფლიოს ყველაზე მდიდარი წყვილები

კვლევითი კომპანია Wealth-X-მა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი წყვილების რეიტინგი წარმოადგინა.

ზოგიერთმა მათგანმა ქონება საკუთარი შრომის ფასად მოიპოვა, ზოგს კი მემკვიდრეობით ერგო.

ჯეიმს და ლინ უოლტონები

ამ წყვილის ქონება საერთო ჯამში 36,2 მილიარდ დოლარს შეადგენს. ჯეიმს უოლტონი Wal-Mart-ის დამფუძნებლის სამუელ უოლტონის შვილი გახლავთ, რომელიც კომპანიას ძმის, ჯონ უოლმარტის გარდაცვალების შემდეგ ჩაუდგა სათავეში. 2013 წელს უოლტონების ოჯახმა ქველმოქმედებისთვის 300 მილიონი დოლარი გაიღო.

მარკ ცუკერბერგი და პრისცილა ჩანი

წყვილის ქონება ჯამში 38,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. „ფეისბუქის“ დამაარსებელი მომავალ მეუღლეს ჰარვარდში სწავლისას შეხვდა. გაცნობიდან ცხრა წლის შემდეგ კი ცუკერბერგმა და ჩანმა იქორწინეს. პრისცილა ჩანი პროფესიით პედიატრი გახლავთ. ცოტა ხნის წინ ცუკერბერგმა და მისმა მეუღლემ 75 მილიონი დოლარი გაიღეს ქველმოქმედების სახით სან ფრანცისკოს General Hospital and Trauma Center-ის მშენებლობისთვის.

ბერნარ არნო და ელენ მერსიე-არნო

ყველაზე ძვირად ღირებული ლუქს-კლასის პროდუქტებით მოვაჭრე უმსხვილესი ჰოლდინგის LVMH (Louis Vuitton & Moët Hennessy) მფლობელის ბერნარ არნოსა და მისი მეუღლის, პიანისტი ელენ მერსიე-არნოს საერთო ქონება 38,7 მილიარდ დოლარს შეადგენს. წლების წინ ფრანგმა მილიარდერმა გარისკა, მემკვიდრეობით მიღებული სამშენებლო კომპანია გაყიდა და გაკოტრების პირას მყოფი ბრენდების შესყიდვა დაიწყო. მან გადაწყვიტა, შეექმნა არა ახალი მარკა, არამედ უკვე არსებული დაეხვეწა და გაეუმჯობესებინა. ბერნარ არნოს მცდელობა წარმატებით დასრულდა და დღეს მსოფლიოში ცნობილი მრავალი ბრენდი მისი კუთვნილებაა.



ჯეფ და მაკკენზი ბეზო

წყვილის ქონება 39,8 მილიარდ დოლარს შეადგენს. მისის ბეზო მომავალ მეუღლეს 1992 წელს შეხვდა, როცა ჯეფ ბეზოს კომპანიაში მუშაობდა. ორი წლის შემდეგ წყვილი დაქორწინდა და ერთად დაიწყო მუშაობა ბიზნესგეგმაზე, რომელიც Amazon.com-ის შექმნას ეხებოდა. ახლა „ამაზონის“ ქონება 175 მილიარდ დოლარს შეადგენს. ჯეფ ბეზოკი კი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია.

უორენ ბაფეტი და ასტრიდ მენკსი


მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი წყვილის საერთო ქონება 65 მილიარდ დოლარს შეადგენს. უორენ ბაფეტი პირველ მეუღლეს, სიუზანს 1977 წელს გაშორდა. თუმცა, მომავალი მეუღლე ასტრიდ მენკსი სწორედ სიუზანმა გააცნო. მიუხედავად იმისა, რომ ბაფეტნამ ცოლად ასტრიდი შეირთო, სამივე მათგანი სიუზანის გარდაცვალებამდე 2004 წლამდე ახლო მეგობრები იყვნენ. საერთო მეგობრებს საჩუქარებს კი წარწერით: „უორენი, სიუზი და ასტრიდი“ უგზავნიდნენ.

ამანსიო ორტეგა და ფლორა პერესი

მოდის რითეილ ბაზრის მაგნატის ამანსიო ორტეგასა და მისი მეორე მეუღლის, ფლორა პერესის საერთო ქონება 70,7 მილიარდ დოლარს შეადგენს. მომავალ მეუღლეს ფლორა „ინდიტექსის“ ერთ-ერთ მაღაზიაში მუშაობისას შეხვდა. ამანსიო ორტეგამ ქონების დიდი ნაწილი „ზარას“ წყალობით მოიპოვა, რომელიც პირველ მეუღლესთან ერთად, 1975 წელს დააფუძნა.

ბილ და მილინდა გეიტსები

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი წყვილი 85,7 მილიარდ დოლარს ფლობს. მიუხედავად იმისა, რომ ბილ გეიტსმა ქონება „მაიქროსოფტის“ დაფუძნებით მოიპოვა, მისი მთავარი საქმიანობა ახლა „ბილ და მილინდა გეიტსების ფონდის“ ხელმძღვანელობაა. წყვილი 1994 წელს დაქორწინდა და სამი შვილი ჰყავთ. „ბილ და მილინდა გეიტსების ფონდი“ საქველმოქმედო ფონდია, რომელიც მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანებს აერთიანებს.








Jurnal i `gadasaxadebi s~ reda qcia gTavazobT

konsul taci ebs sagadasaxado, buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria- sTan dakavSi rebul saki Txebze.

konsul taci ebi Catardeba wi naswar SeTanxmebul droSi.
Cveni sakontaqto tel efonebi a: 230-78-51, 5-93-79-10-77

val utis kursi

	aSS dol ari	2.3980	+	0.0007
	evro	2.6414	+	0.0125
	girvanqa sterl ingi	3.6838	+	0.0234

buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa
`oris-buRal teria- Semswavl el Ta

s a y u r a d R e b o d

Jurnal i `gadasaxadebi s~ reda qcia gTavazobT buRal trul i aRricxvisa da sabuRal tro programa `oris-buRal teria- Seswavl is daCqarebul kurss. cal keul i j gufebis dakompl eqteba moxdeba msmenel Ta Sesabami si doneebis gaTval i swi nebi T.

saswavl o process warmarTaven am dargis cnobili i special istebi.

msmenel Ta miReba dawyebul ia. mecadineobebi Catardeba TqvenTvis sasurvel droSi da pi robebSi.

Cveni sakontaqto tel efonebi a: 230-78-51, 5-93-79-10-77